საერთო გაზეთი

№25 (436) • 28 ივნისი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

რომან რურუა: ადამიანი ბუნების შვილია და, თუ უნდა ადამიანად დარჩეს, ბუნების კანონებით უნდა იცხოვროს!

ციანიდი საქართველოს ეკლესიაში „რუახ ელოჰიმის“ გასანადგურებლად

„საკაიფოდ“ გამზადებული ქვეყანა

● რა ძალები ცდილობენ საქართველო ნარკოტრანზიტული ქვეყნიდან ნარკოტიკის მწარმოებელ ქვეყნად აქციონ?

● რა კავშირია ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციასა და უცხოელებზე მიწის მიყიდვის კანონს შორის?

● საქართველოში ნარკობიზნესის „მამამთავარი“ ედუარდ შევარდნაძე გახლდათ.

„მჯერი ჩემი – ძმა ჩემი“

სად გადის ზღვარი გმირობასა და ბოზობას შორის?

რატომ წავიდა სხვა ქვეყანაში 200 მილიონი ევრო, რომელიც ჩვენი უსახლკარო მოსახლეობისთვის ნამდვილი შვება იქნებოდა?

ახალი კონსტიტუცია - გზამკვლევი ახალი საქართველოსთვის

საჯარო განხილვების, მძაფრი დებატებისა და დისკუსიების შემდეგ პარლამენტმა საქართველოს კონსტიტუციის ახალი ვარიანტი მეორე მოსმენით მიიღო.

აბსოლუტურად არასწორი და დემაგოგიური გვეჩვენება განცხადებები იმის შესახებ, თითქოს კონსტიტუცია ფართო კონსენსუსის გარეშე, მხოლოდ შიდა პარტიული შეთანხმებების გზით, ცალმხრივად და ერთპიროვნულად იქნა მიღებული „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის მიერ.

თუ გავიხსენებთ საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის პროცესს, ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ ეს იყო კონსტიტუციის ტექსტზე მუშაობის ყველაზე ღია, ყველაზე სახალხო და საჯარო პროცესი, რაც კი ქართველ საზოგადოებას აქამდე უნახავს.

რაც შეეხება კონსენსუსს, კონსტიტუციის ტექსტზე მუშაობისას

გათვალისწინებული იქნა საქართველოს მოსახლეობის მხრიდან წამოსული თითქმის ყველა შენიშვნა და მოთხოვნა.

რად ღირს თუნდაც უცხოელებზე მიწის გაყიდვის საკითხთან დაკავშირებით მორატორიუმის გამოცხადება და ის ფუნდამენტური საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ამ მიმართულებით უნდა განხორციელდეს.

უდავოდ ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნას უცხოელებზე მიწის გაყიდვის აკრძალვის თაობაზე, რომელიც უფრო სპონტანურ და ემოციურ ხასიათს ატარებდა, დაემატა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის ეკონომიკური გათვლებით, კონკრეტული ციფრებით და მაჩვენებლებით დასაბუთებული არგუმენტები იმის თაობაზე, რომ უცხოელებზე მიწის გაყიდვას, რამაც წინა ხელისუფლების დროს საგანგაშო ნიშნულს მიაღწია, არსებული მონაცემებით, საქართველოსთვის არანაირი ეკონომიკური ეფექტი არ მოუტანია.

უკიდურესად გამაღიზიანებელი პარადოქსი ჩვენი რეალობისა სწორედ ის გახლავთ, რომ ნაციონალები თუ სახელ და სახეშეცვლილი ნაციონალების განაყარები „ქართულ ოცნებას“ იმას უკიჟინებენ და იმაში ადანაშაულებენ, რასაც თვითონ აფუჭებდნენ და აპარტახებდნენ წლების განმავლობაში.

ეს კონსტიტუციაც, რომელზეც ვითომდა ასე შესტკივათ გული, განა მათ არ დაჩეხეს და არ დაანაკუწეს ისე, რომ მის ხელახლა აწყობას და მისთვის ნორმალური, ცივილიზებული ფორმის დაბრუნებას ამდენი შრომა და ენერგია დასჭირდა.

მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში ოპოზიციური პარტიების და არასამთავრობო ორგანიზაციების საკმაოდ მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობა მონაწილეობდა. რომლებსაც მწვავე კრიტიკული შენიშვნები ჰქონდათ კონსტიტუციის ახალი რედაქციის ტექსტთან, ყველაზე რადიკალური, ყველაზე უკომპრომისო, რაც არ უნდა გასაკვირად მოგვეჩვენოს ეს, პრეზიდენტი მარგველაშვილი და მისი ადმინისტრაცია იყო.

მარგველაშვილს და მის გუნდს არ დაუმალავთ, რომ მათი უკმაყოფილება პრეზიდენტის არჩევის ახალმა წესმა გამოიწვია, რომლის მიხედვითაც სამომავლოდ პრეზიდენტი არაპირდაპირი გზით უნდა აირჩეს.

მარგველაშვილისა და მისი ადმინისტრაციის მიერ აგორებულ თემას სხვებიც აჰყვნენ, საქმეში ჩაერთვნენ საინფორმაციო საშუალებები და ისეთი განგაში და ალიაქოთი ატყდა, თითქოს პრეზიდენტის ახალი წესით არჩევით საქართველოს უდიდესი საფრთხე ემუქრებოდა.

გასაოცარი ის არის, რომ არც მარგველაშვილს, არც სხვა პოლიტიკოსებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, არც ექსპერტებს და საერთოდ არავის, ვინც პრეზიდენტის ახალი წესით დაცვას ასე თავგამოდებით და კატეგორიული ტონით აპროტესტებდა, ერთი სიტყვითაც კი არ გაუპროტესტებიათ ის ამბავი, რომ ამ ახალი კონსტიტუციით საქართველო საპარლამენტო მმართველობის ფორმაზე გადადის, რის გამოც, ცხადია, პრეზიდენტის სტატუსიც სხვა ფორმატით უნდა განისაზღვროს და მისი არჩევის წესიც შესაბამისად უნდა შეიცვალოს.

ვიმეორებთ: თუ თანახმა ხარ და მხარს უჭერ, რომ საქართველო საპარლამენტო მოწყობის ქვეყანა იყოს, მაშინ იმაზეც თანახმა უნდა იყო, რომ ასეთ სახელმწიფოში პრეზიდენტის უფლება-მოვალეობანი შეკვეცილია და მისი არჩევა საყოველთაო-სახალხო არჩევნების გზით ერთგვარი ალოგიზმია, რომელმაც, არ არის გამორიცხული, დროთა განმავლობაში პოლიტიკური კრიზისის წინაპირობები შექმნას და ქვეყანაში ორხელისუფლებიანობის საფრთხე გააძლიეროს.

აი, ეს მარტივზე მარტივი მოცემულობა, რომლის გაშიფვრას და ამოხსნას ნამდვილად არ სჭირდება ღრმა და ფართო იურიდიული განათლება, რატომ იქცა როგორც პრეზიდენტ მარგველაშვილის, ასევე სხვების მხრიდან საკონსტიტუციო კომისიასთან რადიკალური დაპირისპირებისა და პოლიტიკური სპეკულაციების საგნად?

ყოველივე ამას ერთი ახსნა აქვს: პრეზიდენტმა მარგველაშვილმა სცადა საკონსტიტუციო ცვლილებების თემა პოლიტიკური რეიტინგის ასამაღლებლად, მოსახლეობაში მეტი პოპულარობისა და ავტორიტეტის მოსახვეჭად და, ამასთან ერთად, საკუთარი პოლიტიკური გუნდის გასაფართოებლად და გასაძლიერებლად გამოეყენებინა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ზუსტი შეფასება მისცა მარგველაშვილის ქმედებებს, როცა განაცხადა, რომ პრეზიდენტის დამოკიდებულება საკონსტიტუსიო კომისიასთან დესტრუქციული იყო. თუმცა, საკითხავია, როდის არ იყო პრეზიდენტ მარგველაშვილის ქმედებები დესტრუქციული და კონფრონტაციული იმ გუნდთან მიმართებაში, რომელმაც ის პრეზიდენტის სავარძელში ჩასვა, მან კი გაპრეზიდენტებიდან სულ მცირე ხანში დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაშები წამოიწყო და იმ ძალებთან საცადა კავშირების გაბმა, რომლებიც კონფრონტაციულ რეჟიმში იმყოფებოდნენ „ქართულ ოცნებასთან“.

აშკარად ფსიქიკურ პრობლემებთან გვაქვს საქმე, თუ მარგველაშვილი სერიოზულად ფიქრობს, რომ ცვლილებები პრეზიდენტის არჩევის წესში „ქართულმა ოცნებამ“ სწორედ იმის გამო შეიტანა, რომ ქართველი ხალხისთვის ხელი შეეშალა ხელმეორედ აერჩია პრეზიდენტად „უსაყვარლესი“ პოლიტიკოსი გიორგი მარგველაშვილი.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ბრალდება „ქართული ოცნების“ მისამართით, თითქოს მან კონსტიტუციური ცვლილებები საკუთარ თავზე მოირგო და პირადი პოლიტიკური ინტერესებით იხელმძღვანელა.

საკუთარ თავზე მორგებაზე მაშინ შეიძლებოდა გველაპარაკა, თუ ეს ცვლილებები დაუყოვნებლივ, ახლავე შევიდოდა ძალაში, მაგრამ როცა ცვლილებები მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მიიღებს კანონის სახეს, როგორ შეიძლება ამგვარ ქმედებას კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგება ვუწოდოთ?

რამდენიმე წლის შემდეგ არავინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები და როგორ განლაგდება ფიგურები ქართული პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუცია ახალი რედაქციით აუცილებლად გაუძლებს დროის გამოცდას. ის არა მხოლოდ დღევანდელ გამოწვევებს პასუხობს, არამედ მომავლის პერსპექტივებზე, ქვეყნის ნორმალურ, სტაბილურ განვითარებაზეა გათვლილი.

დაბოლოს, არ ვიქნებით მართლები, თუ საგანგებოდ და ხაზგასმით არ აღვნიშნავთ საკონსტიტუციო კომისიის წევრების და კომისიის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის კოლოსალურ შრომას, რაც მათ გასწიეს კონსტიტუციის ახალი რედაქციის იმ სახით და იმ ფორმით ჩამოყალიბებაში, რა სახითაც და რა ფორმითაც ის დღეს აქვს ქართველ ხალხს.

აქვე იმასაც დავამატებთ, რომ ირაკლი კობახიძემ უდავოდ მაღალ პროფესიონალურ დონეზე უხელმძღვანელა კომისიის მუშაობას, ის საზოგადოებას წარმოუდგა როგორც მშვიდი, გაწონასწორებული, პრინციპული და, რაც მთავარია, მაღალი კვალიფიკაციის პიროვნება, რომელიც გულისყურით იღებდა და, საჭიროების შემთხვევაში, ითვალისწინებდა ყველა საქმიან შენიშვნას, ხოლო დემაგოგიურ, პოპულისტურ განცხდებებს და ბრალდებებს არგუმენტირებულ პასუხებს სცემდა.

მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან უშეცდომოდ განვლო კონსტიტუციაზე მუშაობის ოთხთვიანი, მომქანცველი მარათონი და თავის გუნდთან ერთად ფინიშთან გამარჯვებული მივიდა.

სასიხარულოა, რომ ირაკლი კობახიძის სახით ქართულ პოლიტიკურ სპექტრს უაღრესად საინტერესო და პერსპექტიული პოლიტიკოსი შეემატა.

„საერთო გაზეთი“

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარედაქციო მასალები.

ციანიდი საქართველოს ეკლესიაში „რუახ ელოჰიმის“ გასანადგურებლად


ილია II და მეუფე დიმიტრი


ილია II და მამა გიორგი (მამალაძე)

„ციანიდის“ გახმაურებული საქმის მთავარი პირი, დეკანოზი გიორგი მამალაძე არის ერთ-ერთი გამორჩეული მღვდელთმსახურთაგანი, რომელიც შარშან პატრიარქმა ილია II-მ მეორე ჯვრის ტარების უფლებით დაჯილდოვა.

შეგახსენებთ, რომ ორი ჯვრის ტარება ცოლიანი მღვდლის შემთხვევაში, დიდი ჯილდოა.

ორიოდე დღის წინ დეკანოზი **გიორგი მამალაძის** ოჯახის წევრები და დეკანოზის ძმა **თორნიკე მამალაძე** პატრიარქს შეხვდნენ.

როგორც აღმოჩნდა, დეკანოზი გიორგი მამალაძის ძმა თორნიკე მამალაძე ბათუმისა და ლაზეთის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტის, მეუფე **დიმიტრი შიოლაშვილის** სიძე და პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსის **სოსო ოხანაშვილის** მძახალი ყოფილა, თუმცა მეუფე დიმიტრის არასდროს მოუსურვებია ნათესავის — გიორგი მამალაძის მონახულება საპატიმროში.

მეუფე დიმიტრის საერთოდ არ უცდია დაკავშირებოდა პატრიარქს, ჩამოსულიყო თბილისში და აქტიურად ედევნებინა თვალყური სიძის ძმისა და ერთგული მეგობრის, დეკანოზი გიორგი მამალაძის სასამართლო პროცესებისთვის.

გიორგი მამალაძე თავის დროზე სწორედ მეუფეს დაუყენებია სულიერების გზაზე, მისი ნდობითა და რეკომენდაციით ჩაუბარებიათ გიორგი მამალაძისთვის საპატრიარქოს შემოსავლების განკარგვის უფლება. იგი საპატრიარქოს ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი იყო დაპატიმრებამდე.

ამასთან ერთად, საჯარო რეესტრში გიორგი მამალაძის სახელზე ოთხი კომპანია — შპს „დიმოილი“, შპს „ტოროქსი“, შპს „კარო ოპტიმუსი“ და შპს „სუერტე“ არის რეგისტრირებული და ამ შპს-ებში დეკანოზს წილები ერიცხება. ამას გარდა, ის გახლავთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს საკუთრებაში არსებული ორი დაწესებულების — შპს ჩაქვის წმ. კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის სკოლისა და შპს საქართველოს საპატრიარქოს წმ. იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრის დირექტორი.

უფრო ნათელი რომ გახდეს დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმიანობის სფერო, საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, წარმოგიდგენთ შპს „დიმოილის“ საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. ესენია: ნავთობპროდუქტების შემოტანა და რეალიზება, ავტოგასამართი სადგურების ორგანიზება და ფუნქციონირების უზრუნველყოფა, სავაჭრო ქსელების შექმნა და ექსპლოატაცია, სასტუმროსა და რესტორნის ბიზნესი, ტურისტული ბიზნესის მომსახურება.

რაც შეეხება შპს „ტოროქსს“, შპს „კარო ოპტიმუსსა“ და შპს „სუერტეს“, ამ კომპანიებს ის უკრაინის მოქალაქეებთან ერთად ფლობდა და მისი წილი აქ, ოფიციალური მონაცემებით, 25%-ია.

როგორც საპატრიარქოსთან დაახლოებული პირები მატყობინებენ, ციანიდი ამ საქმეში ე.წ. „უტკაა“ და სხვა არაფერი. სინამდვილეში, ეს არის გააფთრებული ბრძოლა პატრიარქის ტახტისთვის, რომელშიც, როგორც ამბობენ, მეუფე დიმიტრიც აქტიურად იყო ჩართული.

როგორც ამბობენ, მეუფე დიმიტრი, ისევე როგორც სხვა მაღალი სასულიერო იერარქების დიდი ნაწილი, მძლავრ ბიზნესებს ფლობს როგორც აჭარაში, ისე საქართველოს სხვა რეგიონებში და ეს, ცხადია, მხოლოდ მისი კომერციული ნიჭის დამსახურება არაა. ის პატრიარქის ძმის შვილი რომ არ ყოფილიყო, ამდენს ვერ მიაღწევდაო, ამბობენ. სხვათა შორის, მღვდლად და მღვდელმთავრად ხელდასმისთვის მასაც ეძლევა, თურმე, გარკვეული რაოდენობის თანხები საპატრიარქოდან. მოკლედ, ენას ძვალი არ აქვს, რას არ იტყვიან და რას არ შეთხზავენ, მაგრამ ეს იგივეა, უცეცხლოდ კვამლი რომ არ ჩნდება...

დეკანოზი კი პატიმრობაში რჩება და როგორც მითხრეს, ელოდება, როდის შეხვდება მეუფე დიმიტრი და როდის მოისმენს მის აღსარებას, იქნებ, რამენაირად უშველოს მეუფემ; მით უფრო, რომ დეკანოზი მეუფე დიმიტრის ეპარქიიტს სასულიერო პირია და მის სულიერ შვილად ითვლება.

როგორც კონფიდენციალურად მაცნობეს, პატრიარქის ტახტისთვის არა მხოლოდ მეუფე დიმიტრი იბრძვის, არამედ პატრიარქობის სურვილი დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტს, **მეუფე აბრაამს**, ერისკაცობაში ამირან გარმელიას, საჩხერისა და ჭიათურის მიტროპოლიტს, **მეუფე დანიელს** (დათუაშვილს), ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტს, **მეუფე კალისტრატეს** (მარგალიტაშვილი), ჭყონდიდელ მთავარეპისკოპოსს, **მეუფე პეტრეს** (ცაავა) აქვს და ერთმანეთში ჩუმი ქიშპობა აქვთ გამართულიო.

აქ ჩამოთვლილ მეუფეთაგან ყველა წინა რეჟიმის მეხოტბე და მადიდებელი იყო, სხვებს რომ თავი დავანებოთ, ყველას გვახსოვს მეუფე კალისტრატე მარგალიტაშვილისგან საკაშვილისთვის გამართული ხელაპყრობილი ლოცვა-კურთხევა, მეუფე პეტრეს კი დღესაც აქვს კელიაში მიშას სურათიო, ახალაიების ოჯახის მეგობარი და სანდრას სულიერი მოძღვარიაო, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ეკლესიის სადავეები კვლავ ნაციონალებს სურთ იპყრან ხელთ, ტახტზე მათი მარიონეტი და დავალებების შემსრულებელი დასვან. ამიტომაც ურევენ ხელს ეკლესიის საქმეებში, შავბნელ გეგმებს თხზავენ და არც მღვდელმთავრები ეწინააღმდეგებიან ამაში.

თორნიკე მამალაძე

თუმცა თავს ქრისტიანებს ვუწოდებთ, როგორც ვხედავთ, მაინც ცოტაა ერშიც და ბერშიც „რუახ ელოჰიმ“ – ღვთის სულს რომ უწოდებს წმინდა წიგნები...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

მეუფე პეტრე

მეუფე კალისტრატე

მეუფე დანიელი

მეუფე აბრაამი

„მტერი ჩემი – ძმა ჩემი“



20 ივნისს კინოთეატრ „ამირანში“ რეჟისორ ლევან ანჯაფარიძის ფილმის **„მტერი ჩემი — ძმა ჩემი!“** პრემიერა გაიმართა. ფილმი რომელიც ბატონმა ლევანმა მაყურებელს წარუდგინა ჩვენი ტკივილიანი ისტორია, მოუშუშებელი ჭრილობაა, რამაც ჩვენი ძმები — აფხაზები უკვე 24 წელია მტრებად გვიქცია. ფილმის დასასრული ერთდროულად იმედიანიცაა, მიმტევებლურიც, ტკივილიანიც და ქართველი კაცის ვაჟკაცობის სიმბოლოც. „ამირანში“ პრემიერაზე შეკრებილი მაყურებელი ფილმის დასასრულს თვალცრემლიანი ოვაციებით შეხვდა. პრემიერას არაერთი საზოგადო მოღვაწე, რეჟისორები, მათ შორის, ფილმის მონაწილე მსახიობებიც დაესწრნენ.

„საერთო გაზეთს“ რეჟისორი ლევან ანჯაფარიძე ესაუბრება:

— ბატონო ლევან, წესით, არავითარი საბაბი არ არსებობდა, რათა ქართველების და აფხაზების ურთიერთობა ასეთი დიდი გაყრით დასრულებულიყო და ძმა მტრად გვქცეოდა. თქვენი ფილმი „მტერი ჩემი — ძმა ჩემი!“ სწორედ ამ თემატიკაზეა აგებული. ფილმის შექმნის იდეა როგორ დაიბადა?

— ჩვენ, ამ თემას თავიდანვე ძალიან არასერიოზულად მივუდექით, თითქოს, სწორად ვერ აღვიქვით ის, რომ ცეცხლი უკვამლოდ არ ჩნდება. როცა კვამლი გამოჩნდა, ზუსტად მაშინ ხალხი დუბაიში გასართობად მიდიოდა. ამ დროს კი კვამლი ძლიერდებოდა, ჯერ კოცონად იქცა და მერე ისეთი ხანძარი გაჩნდა, რომ ჩვენს საქართველოს მთელი გულ-ღვიძლი ამოაგლიჯა. იცით, რა მახსოვს — აეროპორტისკენ რომ მივდიოდი, ასეთი წარწერა მხვდებოდა — გვახსოვდეს აფხაზეთი! გავიდა დრო, ისევ გავიარე ამ გზაზე და უკვე ეწერა — ხსოვდეს აფხაზეთი, მერე — ოდეს აფხაზეთი, მერე — დეს ზეთი, მერე — ეთი და ბოლოს თი დარჩა. ანუ, წარწერაც კი წაიშალა, მისი თავიდან დაწერაც კი არ მოისურვეს არც მთავრობის წევრებმა და არც რიგითმა ადამიანებმა. ერთი წინადადებაც კი — გვახსოვდეს აფხაზეთი ოთხჯერ თუ ხუთჯერ ისე წაიშალა, არცერთხელ შესწორებულა. ეს პირდაპირი მაგალითია, ამ თემასთან დაკავშირებით, ჩვენი დამოკიდებულების. ეს ფილმშიც ავსახე: ერთ-ერთ ეპიზოდში როცა ქართველი ბიჭები არაოფიციალურ შეხვედრაზე მიდიან, უცებ, რადიოში რეკლამა გადის და გვთავაზობენ დასასვენებლად დუბაიში წასვლას. ეს ხომ ნაღდი ამბავია, ჩემი მოგონილი არაა. ეს არის ის, რასაც ჩვენ ვხედავდით და გვესმოდა. სცენარს რაც შეეხება, დიდი კინორომანი მქონდა ჩაფიქრებული, რომელიც სერიოზულ თანხებს მოითხოვდა. პირველი ვიყავი, ვისაც აფხაზეთის თემაზე ფილმის გადაღება მინდოდა. „ციცინათელების“ გადასაღებად დიდი თანხა მჭირდებოდა. მაშინდელი პრემიერის ღარიბაშვილის ბრძანებით საქართველოს ვეტერანთა სამსახურმა 60 ათასი ლარი გამოყო, რათა თიზერი გადაღებულიყო, რაც მერე მთავრობისთვის უნდა მეჩვენებინა. „ციცინათელებიდან“ ერთი ეპიზოდი ავიღე — კავკასიელთა შეხვედრა და მისი გადაღება დავიწყე. საოცარი პროფესიონალებისგან შემდგარი ჯგუფით გადავიღე ფილმი, რომელმაც საქართველოს კინემატოგრაფიაში დამოუკიდებელი ადგილი მოიპოვა.

— ბატონო ლევან, ფილმში ბევრი საყურადღებო მესიჯია. აფხაზებმა თუ ნახეს ეს ფილმი და რა რეაქცია ჰქონდათ?

— ფილმში არის ერთი ასეთი მესიჯი, როცა ერთ-ერთი გმირი ამბობს: ჩვენ, ყველანი დამნაშავენი ვართ საქართველოს წინაშე. იცით რა, ეს სიმართლეა იმიტომ, რომ კავკასიას შეეძლო საქართველოსა და აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში გადამწყვეტი როლი ეთამაშა. მაგრამ მესამე ძალას არანაირად არ აწყობდა ზავი, პირიქით, ყველანაირი პროვოკაციებით ცდილობდა რაც შეიძლება მეტად გაეღრმავებინა ძმებს შორის კონფლიქტი. ფილმში ეს პირდაპირ მაქვს გადატანილი: როდესაც ქართველის ოჯახის აფეთქება ხდება, მას მოჰყვება სიტყვები — ეს ნობათი თქვენმა აფხაზმა მეგობარმა ტოგომ გამოგიგზავნათო. მერე, აღმოჩნდება, რომ ასაფეთქებელი ტოგოს გამოგზავნილი არაა. ასე ძაბავდნენ სიტუაციას, რათა კაცი კაცს გადაჰკიდებოდა, ოჯახი ოჯახს. კარგად მოგეხსენებათ, უამრავი ოჯახი იყო შერეული ტიპის, რომლებიც გახლიჩეს. ეს პატარა საქართველოები ოჯახიდან გახლიჩეს. ამ ოჯახებს პატარა საქართველოებს ვეძახდი. მათი გახლეჩით ისე მოხდა, რომ მთლიანად ქვეყანა გაიხლიჩა. უამრავი მეგობარი მყავს ჩეჩენი, ინგუში. მათ მართლა დიდი სურვილი ჰქონდათ, საქართველო რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგით გამოსულიყო ამ ბრძოლიდან. ვისაც კი ქართველთა მშვიდობა უნდოდა, მხედველობაში მყავს აფხაზები, ყველა დახვრიტეს, თანაც თვითონ აფხაზებმა. აქედან გამომდინარე, ეს მესიჯებიც სწორედ ამ ადამიანებს გავუგზავნე. ერთმა ცნობილმა პიროვნებამ მითხრა ეს ძალიან სენსიტიური თემაა და ყველაფრის თქმა არ შეიძლებაო. მე კი ვთვლი, რომ ყველაფრის მიფუჩეჩება არ შეიძლება. ქართველებს ეს გვღუპავს. ბოლოს ისე ხდება, რომ დამნაშავეები თავად გამოვდივართ. ჩვენ, ამ ომში, დანაშაული არ მიგვიძღვის. დამნაშავე ვინც არის, ყველამ იცის. ფილმში პირდაპირ ასე მყავს მოხსენიებული, როდესაც ქართველი მას ეუბნება: თქვენ რომ გიყურებთ, კუკლების თეატრის რეჟისორი მგონიხართო. აქ ცხადზე ცხადია, რაც არის ნათქვამი. იმიტომ, რომ იმ პერიოდში რუსები კავკასიელ ხალხებს მართლაც მარიონეტებივით ათამაშებდნენ. სხვა არაფერი არ მომხდარა. ქართველებს რაღაც უკიდურესობები გვჭირს, ვიძახით: ეს სენსიტიური თემაა, მოდი, ამას ნუ ვიტყვით, არ გაღიზიანდნენ, მოდი, არ ვაწყენინოთ და ა.შ. იცით, რას გეტყვით: ჩვენ, აი, სწორედ ამან დაგვღუპა. იცი რა: კიდეც უნდა ვთქვათ, კიდეც შევუთვალოთ და თუ მაგრები ვართ პრინციპულებიც ვიყოთ. აქვე გეტყვით, როცა ფილმის გადაღება მოვრჩით, რუსულ ტექსტებს ქართული სუბტიტრები დავადეთ. აფხაზურადაც გვინდოდა იგივე, მაგრამ მერე გადავწყვიტეთ მთლიანად გვეთარგმნა. ავიყვანეთ ერთი აფხაზი ქალბატონი, რომელმაც „მტერი ჩემი — ძმა ჩემი!“ მთლიანად აფხაზურ ენაზე თარგმნა. და იმედი მაქვს, იგი, სახალხო დიპლომატიის კუთხით, აუცილებლად შევა აფხაზეთში და დარწმუნებული ვარ ამით 15–20 ოჯახს მაინც ჩავიხუტებთ, რაც წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.



— ხელისუფლებამ თუ ნახა ეს ფილმი და რა რეაქცია ჰქონდა?

— 20 დეკემბერს შიდა ჩვენებაზე როცა ფილმი ჩავაბარე, ხელისუფლებიდან მქუხარე ტაში მოჰყვა, ძალიან მოეწონათ. მათ მივმართე: აქ, ბრძანდებით ჩემი ქვეყნის ხელმძღვანელობა, გაძლევთ ამ მართალ ფილმს და ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროთ, ძალიან გთხოვთ, ეს საქართველო-აფხაზეთის დაახლოებაში გამოიყენეთ-მეთქი. მას მერე დიდი დრო არ გასულა, ვნახოთ, რა შედეგი ექნება ყოველივეს.

ზაურ კალანდია, ფილმის სცენარისტი:

— საქართველოში ბევრი ფილმი გადაღებულა, მაგრამ ჩვენი მთავარი სატკივარი ყველაზე მეტად ეს არის — თუ საქართველო არ გაერთიანდა, შეიძლება ამ ქვეყნიდან საერთოდ გავქრეთ. აფხაზეთში 12 წლიდან ვიზრდებოდი, ვსწავლობდი, უნივერსიტეტიც იქ დავამთავრე. აფხაზი კაცი, მისი ზნეობა, საქციელი ჩემში ბავშვობიდან შემოვიდა. სცენაში სადაც აფხაზები და ქართველები ერთმანეთს ეჯახებიან, ყოველთვის ვფიქრობდი მართალი ვყოფილიყავი არა მარტო ჩემი ან ქართველების, არამედ აფხაზების წინაშეც. ფილმის მთავარი ღირსება ის არის, რომ იგი მართალი ფილმია, არ არის მოგონილი. შეიძლება დანის წვერზე გავიარეთ, მაგრამ სწორად გავიარეთ. ლევან ანჯაფარიძე უბრწყინვალესი რეჟისორია. ჩვენ სხვა სცენარზე ვმუშაობდით რომლის სახელწოდებაა „ციცინათელები“, მაგრამ ეს დიდ თანხებს მოითხოვს, რაც არ გვაქვს. ამიტომ, ამ სცენარიდან ერთი პატარა სიუჟეტი ავიღეთ. სოხუმელების თვალში ცრემლს რომ ვხედავდი,





მეც ამეტირა. თუ ქრისტიანი, ქართველი, ზნეობრივი პიროვნება ხარ, არ შეიძლება ამ ფილმმა არ შეგატოკოს, არ დაგძაბოს, თუნდაც არ გაფიქრებინოს სად შევცდით ჩვენ და სად — ისინი. კინოზე უკეთესი სახალხო დიპლომატია არ არსებობს. ეს ჩვენი გულის მპოვნელია. ახლახან, ბათუმში ვიყავი, იქ, ერთი აფხაზი კაცი ალექსეი თარია გარდაიცვალა, რომელიც აფხაზებს ეუბნებოდა: თუ ქართველებთან არ ვიქნებით, საერთოდ გავქრებითო. ასეთი ხალხი დღესაც არსებობს, მაგრამ ცოტა. ამ ხალხთან სხვანაირი გაფრთხილება, მოფერება გვჭირდება. ჩვენი ტრაგედია ისაა რომ მიწა-წყალს ვკარგავთ, მაგრამ აფხაზიც მეცოდება, რომელიც საერთოდ იკარგება, თავის თავსაც კარგავს, მიწასაც კარგავს — ჩემს მიწას, მაგრამ მისიცაა და ეს მაწუხებს. დავუბრუნდები ფილმს. „მტერი ჩემი — ძმა ჩემი!“ დიდი ხნის ნაფიქრის შედეგია. იმედი მაქვს, მას აფხაზებიც ნახავენ, გულში მაინც ჩაიხედავენ, ისინიც გრძნობენ რამხელა დანაშაული ჩაიდინეს.

ფილმი კაპიკებში გაკეთდა, მხოლოდ 65 ათას ლარში. რეალურად, 2 მილიონის საქმეა გაკეთებული. ლევან ანჯაფარიძის მხრიდან ეს არის თავგანწირვა საქმის სიყვარულის გამო. უსიყვარულოდ არც ფილმი გამოვა და არც არაფერი.

ქართველი კაცის გენში, ჯიშში დევს ენერგია, კოდი, რომ უნდა გადავრჩეთ. მჯერა რომ ჩვენ გადავრჩებით და ჩვენთან ერთად აფხაზებიც გადარჩებიან.

ზაზა ჭიჭინაძე, ტოგოს როლის შემსრულებელი:

— ბატონო ზაზა, თქვენ, ჰოლივუდში, ასევე, სხვა ქვეყნებში არაერთ ფილმში ხართ გადაღებული. როგორც გავიგე, ფილმში „მტერი ჩემი — ძმა ჩემი!“ ტოგოს როლი ქართულ კინემატოგრაფიაში თქვენი პირველი როლია.

— სიმართლე გითხრათ, მუდამ გული მწყდებოდა იმაზე, რომ ფილმებში მსოფლიო მასშტაბით მიღებენ და საქართველოში ერთ ფილმშიც არ მქონდა ნათამაშები. ყველა ნორმალურ ადამიანს, ქართველ მსახიობს როგორი ცნობილიც არ უნდა იყოს სხვაგან, ურჩევნია, თავის ქვეყანაში რაღაც გააკეთოს და საკუთარი წვლილი შეიტანოს. ბატონმა ლევანმა რომ მომიწვია, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იმ პერიოდში დანიიდან მოსკოვში ჩავედი და რეჟისორიც დამიკავშირდა. ეს როლი ჩემთვის დიდი საჩუქარი იყო. ბატონ ლევანს ვუთხარი: თქვენ, ქართულ ფილმში, ჩემი ნათლიმამა ბრძანდებით-მეთქი. მრავალი წლის შემდეგ ეს ჩემი პირველი ფილმია ქართულ კინემატოგრაფიაში. გაბედულად ვიტყვი, რომ „მტერი ჩემი — ძმა ჩემი!“ ნამდვილი შედევრია. მე, დილეტანტი არ გახლავართ, რეჟისორი ვარ და მსოფლიოს ყველა ქალაქში ვმოღვაწეობ, 50-ზე მეტ ფილმში ვარ ნათამაშები. ლევანიმ რაც გააკეთა, შეიძლება დღეს ბევრმა ვერ აღიქვა, მაგრამ ვიცი, რომ ეს იქნება აფხაზთა და ქართველთა ძმობის აღდგენის პირველი ფუნდამენტი.

ამ ფილმს ხელი მთელმა საზოგადოებამ, პირველ რიგში, მთავრობამ უნდა შეუწყოს. ეს ჩვენი კულტურა, ისტორიაა. აფხაზ და ქართველ ძმებს შორის ის დიდი ხიდი უნდა გაიდოს, რომელიც აღარასდროს ჩატყდება. სწორედ ამის მიტანა უნდა ბატონ ლევანს ხალხის ყურამდე. ეს ჩვენი ტკივილია, ეს ჩვენი ისტორიაა, არ შეიძლება ამის დავიწყება. ეს იგივეა, რომ ჩვენ ჩვენი სამშობლო დავივიწყოთ.

— ბატონო ზაზა, თქვენი გმირი ფილმის დასასრულს ჩნდება, კულმინაცია საკმაოდ ემოციურია. როგორ მოირგეთ ეს როლი?

— სიმართლე გითხრათ რა აღარ მითამაშია, არცერთი როლი არ გამჭირვებია, მაგრამ ამ პატარა ეპიზოდმა ისე დამიჭირა, შემაშინა. ეს არ იყო უბრალოდ სათამაშო, დიდი პასუხისმგებლობა დამეკისრა და უნდა გამემართლებინა. ტოგოში ჩავჯექი. უფლის მადლობელი ვარ, რომ ეს მოხდა და ხალხმაც ნახა. სიმართლე გითხრათ, ამან ჩემზე იმდენად ვიმოქმედა, გადაღების მერე ცუდად გავხდი. ლევანიმ ამ ფილმით შედევრი შექმნა. პრემიერაზე ამერიკიდან სტუმარი მყავდა, იგი გაოცებული დარჩა, მითხრა: არ მეგონა თუ საქართველოში ასეთი ფილმის გადაღება შესაძლებელი იყოო.

აფხაზებთან შეხვედრა მქონდა, სრულიად უცხო ხალხთან რუსეთშიც და საქართველოშიც. ისინი წამოვიყვანე და სუფრა გავუშალე. მათ ერთი ახალგაზრდა ბიჭი ახლდათ, რომელმაც თქვა: 21 წლის ვარ და რაც საქართველოში დავინახე ჩემს ცხოვრებაში არ დამავიწყდება, მოხარული ვიქნები თუ ჩვენ — აფხაზები ქართველ ძმებთან ერთნი ვიქნებითო. ცრემლები წამომივიდა. ვფიქრობ, რომ ყველაზე დიდი ნაბიჯი მაინც საზოგადოებამ, ხალხმა უნდა გადადგას და სწორედ ეს პირველი ნაბიჯი ლევანიმ გადადგა. დრო მოვა, ქართველი და აფხაზი ძმები ერთნი ვიქნებით, რასაც ვეღარავინ წაშლის. დარწმუნებული ვარ ამაში დიდ როლს ლევანის ფილმი შეასრულებს. ამას მსოფლიო ნახავს.

ზურა სულხანიშვილი, მთავარი როლის შემსრულებელი:

— ზურა, ფილმში თქვენმა გმირმა დიდი ტრაგედია გადაიტანა, თუმცა ამ ყველაფერს იგი ვაჟკაცურად პასუხობს.

— დიახ, მთელი ფილმის განმავლობაში არ ჩანს რა მიმაქვს სოფელში ტოგოსთვის საჩუქრად. გზაში ქართველები მხვდებიან, რომელთაც არ ვეუბნები, რა მიდევს ჩანთაში. მათ ვუყვები საჩუქრის შესახებ, რომელმაც ოჯახი ამიფეთქა და მითხრეს, რომ ეს ჩემი ძმისგან — ტოგოსგან იყო. რაც შეეხება ჩემს საჩუქარს, ეს უფრო ადამიანური, კაცური ხასიათიდან გამომდინარეა.

ეს ფილმი იმაზე არ არის გათვლილი რომელი მხარე უფრო კარგად იბრძოდა და ვის უფრო მაგარი მებრძოლები, სნაიპერები ჰყავს, არამედ აქ, უფრო ადამიანური სითბო, ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულება ჩანს — მიუხედავად იმისა, რომ ასეთი საშინელი ტრაგედია მოხდება, ერთმანეთის ნდობას მაინც არ კარგავენ. ეს აფხაზეთის ომი რომ დაიწყო, ხალხმა ვინც მანამდე ერთად იყვნენ და ძმაკაცობდნენ, იარაღი აიღეს, სხვადასხვა მხარეს დადგნენ და ერთმანეთს ესროდნენ. ძმათა ომში გამარჯვებული არავინაა. როდესაც ერთ ოჯახში ორ ძმას შორის გაუგებრობაა, იქ, როგორ შეიძლება რომელიმე გამარჯვებული იყოს.

ზურაბ თოდუა, 90-იან წლებში აფხაზეთის იუსტიციის მინისტრის მოადგილე:

— ფილმი ერთ საათს გაგრძელდა და ჩემს მეხსიერებაზე ტკივილიანი ზეგავლენა მოახდინა. საბედნიეროდ, ფილმის ფინალმა ყოველგვარი ტკივილი გამიქარწყლა, იქვე მიმავიწყა და მხოლოდ დადებით, ქრისტიანულ, მიმტევებლური განწყობა დამიტოვა. ფილმის სიუჟეტები სრულ რეალობას ასახავს. განსაკუთრებით, კავკასიელთა ბჭობას გამოვყოფდი. ეს სცენა ჩვენი წარსულის სრული გაცოცხლებაა. ფილმის მთელი წითელი ხაზი სწორედ ამ პერსონაჟთა მოკლე, მაგრამ ძალიან ღრმა მნიშვნელობის გამონათქვამებზე, პოზიციებზეა დაფუძნებული. „მტერი ჩემი — ძმა ჩემი!“ ყველა აფხაზმა და ყველა ქართველმა უნდა ნახოს!

თამარ შველიძე
555 23 28 24

ბული. როგორც გავიგე, ფილმში „მტერი ჩემი — ძმა ჩემი!“ ტოგოს როლი ქართულ კინემატოგრაფიაში თქვენი პირველი როლია.

„საკაიფოდ“ გამზადებული ქვეყანა

● რა ძალები ცდილობენ საქართველო ნარკოტრანზიტული ქვეყნიდან ნარკოტიკის მწარმოებელ ქვეყნად აქციონ?

● რა კავშირია ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციასა და უცხოელებზე მიწის მიყიდვის კანონს შორის?



ახლახანს ერთ-ერთ რუსულ ტელეარხზე დებატებისას ამერიკელმა ექსპერტმა არიელ კოენმა რუს პარლამენტარ ვიაჩესლავ ნიკონოვს შეახსენა, აზიიდან ევროპისკენ ნარკოტრანზიტის მარშრუტი საბჭოთა სამხედრო გენერალიტეტმა გაჭრაო. ნიკონოვი დაეთანხმა და დაუმატა, 90-იანი წლების დასაწყისში, ნარკოტრანზიტის „მაკონტროლებლები“ ამერიკელებმა ჩაანაცვლეს, ხოლო ნარკობრუნვა 40-ჯერ თუ უფრო მეტად გაიზარდაო. ნიკონოვის სიტყვები მართლაც შეიცავს სიმართლეს, რის შესახებაც „საერთო გაზეთი“ წლების წინ წერდა, სტატიების მთელი ციკლი მივუძღვენით ამ მტკივნეულ თემას. ბოლო ხანს, ნარკოპოლიტიკის ირგვლივ ისეთი აჟიოტაჟია ატეხილი, რომ გადავწყვიტეთ დავუბრუნდეთ ამ საკითხს. რატომ ითხოვენ ასე თავგამოდებით პოლიტიკოსებისა და სამოქალაქო სექტორის ნაწილი ნარკომოხმარების დეკრიმინალიზაციას და ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზაციას, პროფესიონალი „ოპერატივნიკი“, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი დავით გაგნიძე გვესაუბრება.

საქართველოში ნარკობიზნესის „მამამთავარი“ ედუარდ შევარდნაძე გახლდათ, მან „შესვა“ მთელი ერი ნარკოტიკზე და ეს პროცესი 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო...

საქართველო საბჭოთა კავშირის დროსაც ითვლებოდა ნარკოტრანზიტულ ქვეყანად, ნარკოტიკები „წითელი ხიდიდან“ შემოედინებოდა და ძირითადად ბათუმიდან გემების საშუალებით „მიეწოდებოდა“ დასავლეთს. საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ, ნარკობრუნვა მართლაც მნიშვნელოვნად გაიზარდა. ჩემი ინფორმაციით, აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძეც იყო ჩართული ამ „ბიზნესში“, სავარაუდოდ, ეს ფაქტორი იყო მისი ნაციონალებთან მწვავე დაპირისპირების მიზეზი, ეტყობა ამ უკანასკნელთ „მოწილე“ არ უნდოდათ. რამდენჯერმე მითხრეს, ფოთისა და ბათუმის პორტებიდან ცარიელი ე.წ. ტარით გასულან გემებიო. თუ აქ სხვა რამ არ იყო ჩადებული, რომელი ჭკუათმყოფელი წაიყვანდა ცარიელ გემს, როცა მისი დაქირავება სოლიდური თანხა ჯდება. საქმე იმაშია, რომ საბჭოთა კავშირის სამხედრო გენერალიტეტი მხოლოდ ფულს იღებდა ნარკოტიკების მიწოდებაში, ნარკოტიკი ადგილზე არ რჩებოდა, მათმა მემკვიდრეებმა, ვგულისხმობ იმ კლანს, რომელსაც სააკაშვილის „მამობილი“ მაკეინი მიეკუთვნება, „ნატურით“ დაიწყეს ტრანზიტის საფასურის გადახდა და ლამის მთელი საქართველო გაანარკომანეს, ისევე, როგორც ავღანეთი. ამ ქვეყანაში ნატოს ჯარების შესვლის შემდეგ, „ოპიუმის“ ყაყაჩოს თითქმის სამ მოსავალს იღებენ. მე არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ რატომ არ მოაცილეს კავკასიას ამერიკის ელჩის თანაშემწე მეთიუ ბრაიზა, რომელმაც რომ იტყვიან, ჩაისვარა საქართველოში, რატომ დანიშნეს აზერბაიჯანში ელჩად? შემთხვევით იმიტომ ხომ არა, რომ აზერბაიჯანიც ნარკოტრანზიტული ქვეყანაა და საიმედო კაცი ჭირდებოდათ. მას შემდეგ, რაც ჩვენმა შს სამინისტრომ ნარკოტიკის დიდი პარტიები დააკავა, „ჰეროინის“ სახმელეთო გზით ტრანზიტი საქართველოს გავლით აღარ ხორციელდება. აქ სხვა დამატებითმა ფაქტორმაც იმუშავა, საქართველოდან ბორანის მეშვეობით გაჰქონდათ ნარკოტიკი უკრაინაში, ყირიმის პორტებში, ახლა ყირიმი რუსეთს ეკუთვნის, ამიტომ ეს მარშრუტი ჩაიკეტა. ახლა პირდაპირ სამხედრო თვითმფრინავებით გადააქვთ ავღანეთიდან „ოპიუმი“ და „ჰეროინი“ ევროპაში, ეს ყველაზე უსაფრთხო გზაა, ვერავინ გააკონტროლებთ. ის სამ ტონამდე „ტვირთი“, რომელიც ლექსო ჭიკაიძის შს მინისტრობის დროს დააკავეს და ოლიფად გასაღებას ცდილობდნენ, სინამდვილეში თხევადი „ჰეროინი“, ე.წ. ალაჰის ცრემლები იყო, რომელიც მართლაც ჰგავს ოლიფას. მე მაშინვე გამიჩნდა ეჭვი, რომ მართლაც ნარკოტიკი იყო, რადგან დაკავების თარიღი მითითებული არ იყო, ორი კვირა მიდიოდა „ჭიდაობა“, ეტყობა ირაკლი ღარიბაშვილმა არ დათმო და იძულებულნი გახდნენ სიმართლე ეღიარებინათ. დარწმუნებული ვარ ირაკლი ღარიბაშვილისა და ჭიკაიძის გადადგომა-გადაყენება ნარკოტიკების უზარმაზარი პარტიების დაკავებას უკავშირდება, ვინ აპატიებდა პატარა საქართველოს პრემიერ-მინისტრს 480 მილიონი დოლარით რომ აზარალა „ნარკობარონები“. საქართველოზე რომ აღარ ხდება „ჰეროინის“ ტრანზიტი იმით დასტურდება, რომ დედაქალაქში აღარ ჩანს ეს ნარკოტიკი. თუ მაინც არის, ესეც პატარ-პატარა პარტიები, რომელიც ძირითადად თურქეთიდან შემოდის, საქართველოს ყოფილ ტერიტორიებზე (ტაო-კლარჯეთი, შავშეთი) დღესაც მოყავთ „ოპიუმის“ ყაყაჩო. ამ მცენარის მოყვანა ჩვენთანაც შეიძლება, კომუნისტების დროს, მე თვითონ მყავს დაჭერილი თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში ის ხალხი, ვისაც ყაყაჩო მოყავდა.

რაც შეეხება ამ „თეთრ ხმაურს“, „ვირჩებს“ და დანარჩენებს, რომლებიც თავს იკლავენ ლეგალიზაცია-დეკრიმინალიზაციაზე, აშკარად მართულები არიან, სპეციალურად მაგისთვის ყავთ, რომ აბსურდული, უფრო სწორად, დანაშაულებრივი მოთხოვნები დააყენონ, რაშიც ფულს უხდიან. ხელშეწყობა და დაფინანსება რომ არ ჰქონდეთ, აბა ვინ გამოვა ქუჩაში ასე მობილიზებულად. ჯერ „მარიხუანას“ ლეგალიზაციას ითხოვენ, მერე „ოპიუმსა“ და „ჰეროინზეც“ გადავლენ. ჩვენი გენოფონდის გაწყვეტა უნდათ, რაშიც ამ უგუნურ ახალგაზრდებს იყენებენ. თურმე პოლიცია უდებს ნარკოტიკს, საქართველოში 200.000 ნარკომომხმარებელია, ესეც ოფიციალური მონაცემია, თორემ მათი რიცხვი გაცილებით მეტია, ყველას როგორ უდებენ? სახალხო დამცველად წოდებულ ნანუაშვილს საერთოდ თუ აქვს ჭკუა, იგივეს რომ იმეორებს? ნარკომანები ავადმყოფები რომ არიან, იმიტომ უნდა მოხდეს ნარკოტიკის გამოყენების დაკანონება? თუ ავადმყოფია, მაშინ ექიმმა გამოუწეროს ოფიციალურად და ისე მიიღოს, არ არის პრობლემა, მაგრამ ამათ აღურიცხავი რაოდენობის ნარკოტიკი ნებავთ, რომ ჩვენი ახალგაზრდობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხარჯზე, მავანთ „დიდი“ ფული აშოვნინონ. გაიხსენეთ წლების წინ გავრცელებული ინფორმაცია, ძლიერმოქმედი ნარკოტიკებით, მათ შორის, მორფიუმით, ამერიკის საელჩოდან „მარაგდება“ საქართველოო. მარტო საქართველოსა და აზერბაიჯანში რომ დატივეს აშშ-ის იგივე ელჩები, ეს არაფერს გეუბნებათ? პრეზიდენტი მარგველაშვილი თურქმენეთში რომ ბრძანდებოდა ვიზიტით, რა უნდოდა იქ, რა ელაპარაკა ამ ქვეყნის პრეზიდენტს“, ხმას რატომ არავინ იღებს. რომელიმე ევროპულ ქვეყანაში, ან ამერიკაში რომ ჩადის მარგველაშვილი, მასმედია ერთი კვირა ტვინს გვიჭედავ მასმედია ამ არაფრისმთქმელი ვიზიტებზე საუბრით, თუმცა თურქმენეთის ვიზიტთან დაკავშირებით საეჭვოდ გაისუსნენ. მარგველაშვილი შემთხვევით ბოდიშის მოსახდელად ხომ არ იყო თურქმენ „კოლეგასთან“ ჩასული, ქართველმა სამართალდამცავებმა სამ ტონამდე ნარკოტიკი რომ ამოიღეს, რადგან ამ ოპერაციიდან მოკლე ხანში ესტუმრა იგი თურქმენეთს. სხვათა შორის, იმ „ავადსახსენებელი“ კომუნისტების დროს, თუ 5 გრამ „მარიხუანაზე“ (ე.წ. პლანი) მეტს თუ აღმოუჩენდნენ ვინმეს, მაშინ დგებოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი, უფრო ნაკლები დაჯარიმებას ექვემდებარებოდა. დამეთანხმებით, რომ საკმაოდ რბილი ნარკოპოლიტიკა იყო, თუ მაინც და მაინც ნარკოპოლიტიკის შერბილება უნდათ, ეს პრაქტიკა გამოიყენონ. თუ

ალკოჰოლით თრობის დროს არ შეიძლება ბავშვის ჩასახვა, რადგან რისკი დიდია, ნარკოტიკის თრობის დროს შეიძლება? ცნობილ სოციოლოგ კლიმოვს აქვს ნათქვამი, რომ ერის განადგურებას სამი ფაქტორი განაპირობებს – სქესობრივი გადახრა; არაჯანსაღი თაობა და უშვილობა. ამ დეკრიმინალიზაცია-ლეგალიციის „ინიციატორებს“ ეტყობა სწორედ ქართველი ერის განადგურება უნდათ. ევროკავშირისა და ნატოსკენ რომ მიგვათრევენ, რომელიც ხვალ თუ ზეგ დაიშლება, რა სარგებლობა მიიღეს იქ შესვლით ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა? სამივე ქვეყანა თითქმის დაცლილია ადგილობრივი მოსახლეობისგან, ახალგაზრდობა უკანმოუხედავად გარბის საზღვარგარეთ. ეტყობა ჩვენთანაც იგივე უნდათ.

- ბატონო დავით, მარტო დეკრიმინალიზაცია-ლეგალიზაციაზე ხომ არ არის საუბარი, კანაფის, ანუ „პლანის“ დათესვაც დასაშვები უნდა გახდეს. „გირჩის“ თავკაცი ჯაფარიძე „გვმოძღვრავს“ კიდეც, მომგებიანი ბიზნესიაო. სოფლის მეურნეობის ამ „რელსებზე“ გადაყვანა ხომ არ იგეგმება და წინასწარ გვაჩვევენ?

- არ არის გამორიცხული, მით უმეტეს, რომ საქართველოში შესაბამისი ბუნებრივი კლიმატური პირობებია, მერე მარტო კანაფის კი არა, „ოპიუმის“ ყაყაჩოს მოყვანაც დადგება „დღის წესრიგში“. ეს თუ დაუშვეს, დაუსრულებელი ომები, კლანური დაპირისპირება იქნება, როგორც ავღანეთშია. ავღანეთი კიდევ როგორ იტანს ამას, მიკვირს, ფაქტობრივად გაანადგურეს ქვეყანა. თუ საბჭოთა კავშირის ჯარების იქ ყოფნის დროს 500–600 ტონა „ოპიუმს“ აწარმოებდნენ ავღანელები, „გათავისუფლების“ შემდეგ 9.000 ტონამდე ავიდა წარმოება და ამას აკეთებენ მსხვილი დასავლური ბანკები. მსოფლიოს მასშტაბით, სადაც კი ომია, ამერიკული ბანკები აფინანსებენ. ვიეტნამის ომის დროს, რომლის დროსაც სამარცხვინოდ გამოაბუნძულეს ამერიკელები, ხსენებული ბანკები თურმე საბჭოთა კავშირს აფინანსებდნენ. ასე რომ, მათთვის მთავარი ფულია. ბარაკ ობამამ თავის დროზე პირდაპირ თქვა, ჯერჯერობით ვერ ავკრძალავთ ავღანეთში ყაყაჩოს მოყვანას და „ოპიუმის“ წარმოებას, ხალხმა სული ხომ უნდა მოითქვას, მაგრამ მოვა დრო, როცა იქ მშვიდობას დავამყარებთ და სხვა კულტურების მოყვანაზე გადავალთო. „ოპიუმის“ ყაყაჩოზე მაღალშემოსავლიანი კულტურა ბუნებაში არ არსებობს, ეტყობა იმ „პროგრამაში“ ჩვენც ჩაგვრთეს, ნაციონალების მმართველობისას ხომ გააჩეხინეს ხალხს ვაზი და ახლა ბოლომდე დაასრულებენ ამ პროცესს. მასიურად რომ შემოიყვანეს ინდოელები, რაც დღესაც გრძელდება და ჩალის ფასად მიყიდეს ქართული მიწები, ზუსტად ინდოეთში არ დაიწყო პირველად ყაყაჩოს მოყვანა და „ოპიუმის“ წარმოება, რომელიც მერე ჩინეთშიც გაავრცელეს. დიდი ეჭვი მაქვს, რომ საქართველოში ყაყაჩოს პლანტაციების გაშენება უნდათ და იმიტომაც შემოყავთ ინდოელები. ისინი თავის „მამულებში“ ძაღლებს რომ გაუშვებენ და იქ ფეხს ვერავინ შედგამს, მერე რას დათესავენ ვიცით? თან სინგხები შემოიყვანეს, რომლებიც ინდოელებში ყველაზე აგრესიულ ხალხად ითვლება. არაბებიც ზუსტად მაგ მიზნით შემოყავთ, „კაიფი“ არაბული სიტყვაა და საქართველოშიც პირველად მაგათ შემოიტანეს „ოპიუმი“, რასაც ქართულად „თრიაქი“ ერქვა. შემოყვანას იმიტომ ვამბობ, რომ ეს უცხოტომელები ძალიან მობილიზებულად შემოდიან, ე.ი. ვიღაც აკონტროლებს ამ პროცესს და არ გამოვრიცხავ, რომ ლობისტები ხელისუფლებაშიც ჰყავდეთ.

საქართველოში ნარკობიზნესის „მამამთავარი“ ედუარდ შევარდნაძე გახლდათ, მან „შესვა“ მთელი ერი ნარკოტიკზე და ეს პროცესი 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო, როცა იგი წესრიგის დაცვის თუ რაღაც ასეთი უწყების პირველი პირი იყო. მის კისერზეა მილიციის კაპიტან მაჭავარიანის, ვაჟკაცი ადამიანის თვითმკვლელობა. 1975 წელს შს მაშინდელმა მინისტრმა (გვარი ზუსტად აღარ მახსოვს) მაჭავარიანი კაბინეტიდან გამოაგდო, როცა მან ფაქტებით დადასტურებული ინფორმაცია მიუტანა, რომელი „ბობოლა“ ჩინოსნისა თუ „ფულიანი კაცის“ შვილი იკეთებდა ნარკოტიკს. აღელვებულმა კაპიტანმა დედაქალაქის ცენტრში, ლენინის ძეგლთან მოიკლა თავი ტაბელური იარაღით, იქნებ ასე მაინც მიაქციონ ყურადღება ამ დამღუპველ პრობლემასო. ჯერ კიდევ როდის ეუბნება უდიდესი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია თავის ერთ-ერთ ნაწარმოებში ევროპელებს, ეგოისტები ხართ, გინდათ ყველა თქვენ გგავდეთო. იმედია, კონსტანტინე გამსახურდიასაც არ დასწამებენ, კომუნისტი იყო და ასე იმიტომ აზროვნებდაო. ახლაც სპეციალურად კეთდება ყველაფერი ქართველი ერის წინააღმდეგ, ჩვენი გატუტუცებული ახალგაზრდობა ამას ვერ ხვდება და მარიონეტებივით ასრულებენ უცხოელების დირექტივებს. დარწმუნებული ვარ, ამერიკელებს აქვთ შედგენილი „შავი სია“, ვინ არ უნდა გააჭაჭანონ ხელისუფლების დაბალ რგოლებშიც კი, ხელი შეუშალონ ბიზნესის წარმოებაში და ა.შ. ადგილობრივები, მათ შორის სააკაშვილიც, ამას თავისით ვერ მოიფიქრებდა. მისი პრეზიდენტობის დროს გააუქმეს ირანთან სავიზო რეჟიმი, ამ დროს ამერიკასა და ირანს შორის როგორი დაძაბული ურთიერთობა იყო ყოველთვის. როგორ ფიქრობთ, ჩვენი ხელისუფლება ოკეანისგაღმელი „პატრონების“ გარეშე ამას გაბედავდა?!

ნარკოტრანზიტის დამალვა უნდოდათ, იმიტომაც შემოაღებინეს ირანთან უვიზო რეჟიმი. ამერიკელების „დამსახურებაა“ უვიზო მიმოსვლა ბრაზილიასთანაც, რა გვაკავშირებს პლანეტის მეორე ნახევარსფეროში მდებარე ქვეყანასთან, რომ ასეთ გადაწყვეტილებას იღებ. ეს ყველაფერი ნარკობიზნესს უკავშირდება. ამერიკელებს ავღანური ნარკოტიკი რომ აღარ ყოფნით, სხვა „მიმწოდებლების“ ძებნა დაიწყეს, მაგალითად, ტაჯიკეთის მთიან მხარეში ისევ დაიწყეს „ოპიუმის“ ყაყაჩოს მოყვანა. უზბეკეთშიც მოყავთ, მაგრამ აქცენტი ტაჯიკეთზეა, რადგან ტაჯიკები უფრო ხარისხიან „ჰეროინს“ აკეთებენ. ირანში სასტიკად სჯიან ნარკოდანაშაულისთვის, მაგრამ ამხელა ქვეყანას ბოლომდე ვერ გადაკეტავენ, თანაც ნარკობიზნესის წარმომადგენლებს საოცრად მდიდარი ფანტაზია აქვთ, სად დამალავენ „ტვირთს“, ძნელია ამის გათვლა. ამიტომ ნარკოტრანზიტი აქედანაც ხდება, საქართველოში დაკავებული „ჰეროინის“ უზარმაზარი პარტიაც აქედან შემოვიდა. საგანგაშო ვითარებაა, თუ ხალხმაც არ ამოვიღეთ ხმა, მარტო ხელისუფლება ვერაფერს გახდება, ხომ ხედავთ როგორი შეტევა მიდის ყველა მხრიდან. სააფთიაქო ქსელთან მიმართებაში, საიდანაც ხშირად უკონტროლოდ იყიდებოდა ფსიქოტროპული მედიკამენტები, როცა გააუქმა მთავრობამ პოლიტიკა, ოპოზიციამ და ვითოდა უფლებადამცველებმა ვაიუშველებელი ატეხეს. მერე იმაზე ატყდა ერთი ამბავი, მიწა აუცილებლად უნდა გავყიდოთ უცხოელებზე. ახლა აღარ გაიყიდება, მაგრამ ათასობით ჰექტარი უკვე შეძენილი აქვთ უცხოელებს, უკვე იმაზე მიდის ბრძოლა, რომ პარლამენტს მიაღებინონ კანონი, ნარკოტიკების ლეგალიზაციასა და მოყვანა-წარმოებასთან დაკავშირებით. თუ ეს შეძლეს, აქტიურად დაიწყება მოყვანა-წარმოება, ვეღარც შეედავები, რადგან კანონით ნებადართული იქნება, სადაც კანაფს დათესავს, იქ ყაყაჩოსაც მიაყოლებს, ამას ვინ გადაამოწმებს. ინფორმაციასაც ვერვინ გამოიტანს, რადგან ქართველ მუშებს იქ არავინ შეუშვებს. ხომ ხედავთ მთელი სოფლების გაშენებას აპირებენ, იქ ზუსტად „იმპორტირებული“ მუშახელის განსახლება იგეგმება, თან სულ კრიმინალები ჩამოყავთ. ასე თუ არ არის, მაშინ რატომ არ ამუშავებდნენ თუნდაც ინდოელები წლების წინ ნაყიდ მიწებს, იმიტომ ხომ არა, რომ ხსენებული კანონის მიღებას ელოდებოდნენ? ვფიქრობ, ავღანეთიდან გასვლას აპირებენ და წინასწარ იბევებენ საქართველოს ნარკობიზნესის საწარმოებლად. შემირცხვენია ის პარლამენტარი, რომელიც ხსენებული კანონის მიღებას მხარს დაუჭერს და საერთოდ ის ქართველი, რომელიც ფულის გულისთვის საკუთარ ქვეყანას და ერს გაწირავს. მინდა ჩვენმა მოსახლეობამ იცოდეს, რამხელა ვერაგობა იმალება იმ ვითომდა კეთილშობილური ზრახვების უკან, ქართული მიწა იმიტომ უნდა გაიყიდოს, რომ ინვესტიცია შემოვიდეს ჩვენი მოქალაქე გამდიდრდეს, ან კიდევ ნარკომომხმარებელი ავადმყოფია, ამიტომ ნარკოპოლიტიკა რაც შეიძლება შევამსუბუქოთო.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

„ადამიანი ბუნების შვილია და, თუ უნდა ადამიანად დარჩეს, ბუნების კანონებით უნდა იცხოვროს!“

რომან რურუას ფილოსოფია

ეზოში რომ შედიხარ, მაშინვე გრძნობ, ამ სახლ-კარის პატრონი თითოეული ბალახის ღერს და ბუჩქს რომ ელოლიავება. შენც მოწიწებით ადგამ ნაბიჯებს ულამაზეს ბილიკზე, რომელსაც ქართველი მოჭიდავის, ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონის, ორი ოლიმპიადის ოქროსა და ვერცხლის მფლობელის და საბჭოთა კავშირის ექვგზის ჩემპიონის რომან რურუას საცხოვრებელთან მიჰყავხარ.

სახლის აივნიდან ზედაზენის მთა და მისგან მონაბერი სპეტაკი ჰაერი ჯდება ფილტვებში. თვალსაწიერზე კი, შორს, ხრიოკი კლდე ჩანს.

ასეთი იყო ეს მიდამო, ახლა წალკოტს რომ ჰგავს,— თავმდაბლად გვიხსნის ბატონი რომანი და ქვემოთ, ლამაზად გაშლილი მიდამოებისკენ მიგვითითებს.

ტერასებზე მოსჩანს სიმინდის ყანა. პამიდვრის, ბადრიჯნის და სხვადასხვა ბოსტნეულის ხასხასა ჩითილები, გუბურებში იხვები ჭყუმპალაობენ, ეზოში კრუხ-წიწილა ფუსფუსებს, ცოტა ქვევით ციცრები კაკანებენ, ძროხების წინ ხბორები კუნტრუშებენ. ეს არ არის კადრები ძველი ქართული კინო-ფილმიდან. ეს რეალობაა, რომელსაც გულმოდგინე და თავდადებული შრომა სჭირდება და ეს რომან რურუას დამსახურებაა.

ახლა, როცა ყოველივე ძველის ნიველირება ხდება, ხოლო ახალი ღირებულებები ფსევდოიდეალურის შთაბეჭდილებას ტოვებს, საინტერესოა რომან რურუას შეხედულებები, რომლებიც ადამიანის ხელახლა გაადამიანურებისა და მშობლიური მიწის ორგანულად აღქმის სურვილებს აღძრავს.

წვიმს.

ბატონი რომანი სივრცეში იყურება და ამბობს:

იმ მთებისკენ, ზედაზენზე, არ წვიმს, მცხეთაში — თავსხმაა, ბუნებას ვუკვირდები მთელი ცხოვრება და ვიცი მისი კაპრიზების ამბავი. ბუნება უნდა გიყვარდეს, მისი ენა უნდა იცოდე. ბუნებას უნდა ელაპარაკო და ისიც მიგანიშნებს, როგორი ამინდი იქნება ხვალ. სწორედ ბუნებასთან ჰარმონიაში დავაფუძნე ამ ხრიოკ ადგილას მეურნეობა, რომელსაც ხედავთ.

დედა – მიწა

ადამიანებმა დღეს მიწის ფასი არ იციან, არადა, მიწა არის შეუფასებელი, ის არის მარჩენალი. სახელი „მარჩენალი“ ვინ იცის, ვინ დაარქვა მიწას, მაგრამ აბსოლუტურად ზუსტი შეფასებაა. დედამიწა, ასეთი დასახელება, არც ერთ ენაში არ აქვს მიწას. მას ქართველმა კაცმა დედა უწოდა, დედასთან გაათანაბრა. მიწა ჩვენი მარჩენალია, სხვა ფუნქცია მას არ გააჩნია. ამ მარჩენალს კი დღეს უმოწყალოდ თელავენ, ლანძღავენ. ლანძღვაა ის, მიწას რომ აბინძურებენ და ნაგავს აყრიან.

მიწა უნდა გიყვარდეს. ეს შეუფასებელი სიმდიდრეა. მიწას, საერთოდ, ფასი არ უნდა დაადო. მიწის ფუნქცია მიწით ვაჭრობა არ არის, მისი ფუნქციაა არჩინოს ადამიანი. ამიტომ ვთქვი, მიწა მარჩენალია-მეთქი. ფული რომ არ იყოს, შეგიძლია თავისუფლად იცხოვრო ისე, რომ სრულიად მოიხსნა ადამიანის უპირველესი საჭიროება — ჭამა.

ფულიც რომ არ არსებობდეს საერთოდ, მიწის საშუალებით შეგიძლია ჩვეულებრივად იცხოვრო.

ეს იყო ჩემი მიზანი ცხოვრებაში — მიმეღწია იმისთვის, რომ უფულოდ ცხოვრება შემძლებოდა — ფული რომ არ არსებობდეს, ისე უნდა იშრომო, რომ რახან გაჩნდი, მშიერი არ დარჩე ამ ქვეყანაზე.

ზუსტად ეს გავაკეთე მე და აი, ხედავთ კიდევაც ჩემს ნამოღვაწარს.

„თუ გინდა არ დამარცხდე, საკუთარ თავს უნდა უთხრა, რომ უძლეველი ხარ!“

არავითარი ჩაკეტილობა, ხალხმა უნდა ნახოს, რისთვის ვცხოვრობ და რისთვის ვშრომობ ამ ქვეყანაზე. ძაღლიც კი არ მყავს ეზოში. სტუმარი ისე უნდა მოვიდეს, ძაღლის არ უნდა ეშინოდეს, დაუბრკოლებლად, თავისუფლად უნდა მესტუმროს.

სტუმარი ღვთისააო, ხომ გაგიგონიათ?! ჰოდა, ჩემს სახლში ხშირი სტუმრიანობაა. მივირთმევთ, რაც გვაქვს, რაც ჩვენი მარჯვენით მოვიპოვეთ და ვსვამთ ჩემი ხელით დაყენებულ ნატურალურ ღვინოს.

ღვინო კარგია; ოღონდ გარკვეული დოზით.

შეჯიბრებებზე რომ მივდიოდი, ყოველთვის მიმქონდა ქართული ღვინო და იმის მიუხედავად, რომ სპორტსმენებისთვის ღვინის დალევა აკრძალულია, მე დავიდგამდი სადილად ერთ ჭიქა ღვინოს და გეახლებოდი. ნორმის ფარგლებში თუ დალევ, ღვინო წამალია. ამას ვეუბნებოდი მწვრთნელებსაც. ღვინოს აქვს შესანიშნავი თვისება — გებრძვის და შენც უნდა ებრძოლო. იგი „ცდილობს“ დაგათროს, შენ უნდა ეცადო — არ დათვრე. ღვინოს უნდა შეეჭიდო, უნდა დაარწმუნო საკუთარი თავი, რომ ღვინო ვერ მოგერევა. ამ განწყობით ბევრი ძლიერი მეტოქე დავამარცხე ისე, რომ მე არ დავმთვრალვარ.

მოქმედი სპორტსმენი რომ ვიყავი, იმ პერიოდში, ერთ მრავალრიცხოვან ქორწილში, მოულოდნელად, თამადობა შემომთავაზეს. თავიდან სასტიკ უარზე დავდექი, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ვზივარ 150-კაციანი სუფრის თამადად და მომაგონდა ცხონებული მამაჩემი. ის დიდ სუფრებზე ყოველთვის თამადა იყო. გავიხსენე, როგორ თამადობდა, მივყევი, მივყევი და გაშრა ყელიო, ვიღაცამ რომ დაიძახა დარბაზიდან, მაშინ მივხვდი, ყანწი უნდა დამელია და სხვებისთვისაც შემეთავაზებინა. შემოიტანეს ყანწი. ვფიქრობ: ეს რომ დავლიო, ნამდვილად დავთვრები და თუ დათვერი, რაღა თამადა ხარ?! ვუთხარი ჩემს თავს: რომან, ეს ყანწი ერთი კი არა, სამი უნდა დალიოო და არ უნდა დათვრე. დავლიე, შევთავაზე დარბაზს. დალიეს, მეორე ყანწი აქა-იქ გამოტოვეს, მესამე — არავის დაულევია. მე სამივე ყანწი, რომ იტყვიან, გმირულად გამოვცალე და თავსაც მშვენივრად ვგრძნობდი. ცხოვრებაში მაშინ პირველად ვიცეკვე...

აი, რა არის შთაგონება. საკუთარ თავს უნდა შთააგონო, რომ მიზანს მიაღწევ. ასე თუ არ მოიქეცი, ერთ ჭიქას დალევ და კისერი მოგეღრიცება.

ბუნების კანონი

ახლა არავის უნდა წიგნში ჩახედვა. გაზეთის ან ჟურნალის წაკითხვა. ყველა მიჩერებულია ტელევიზორს, კომპიუტერს, მაგრამ მოვა დრო, ადამიანი ისევ მიუბრუნდება წიგნს, რადგან მივლენ იმ აზრამდე, რომ კომპიუტერი და ტელევიზორი აზროვნების უნარს უქვეითებს ადამიანს.

აღიარებულია წიგნის უპირატესობა ადამიანის გონების განვითარებაში.

ამას, უპირველესად, ქვეყნის მმართველები უნდა მიხვდნენ, ისინი, ვინც ქმნიან კანონებს, ვინც მართავს სახელმწიფოს.

პარლამენტში უნდა იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც, ზედმიწევნით ეცოდინებათ ბუნების კანონი.

ბუნების კანონი არის კანონთა კანონი და ეს კანონი მანამდე იყო დაწერილი, ვიდრე სახელმწიფოები გაჩნდებოდა ამ ქვეყანაზე. როცა ვკითხულობთ: ვინ და რა არის ღმერთი, უნდა ვიცოდეთ, რომ ღმერთი არის ჩვენი ცხოვრების კანონთა კანონი. იგი სულია და ჩვენს სულში ზის, ჩვენს გონებაშია. ყოველივე ამის წინაღმდეგ მოქმედებს დღეს ადამიანი.

ხშირად ვქადაგებ ბუნების კანონზე, რაზეც ამას წინათ პატრიარქმაც გაამახვილა ყურადღება და ბუნება და ღმერთი გააიგივა.

ვაჟა-ფშაველაც ხომ ამბობდა: „ბუ-

ნება მბრძანებელია, იგივ მონაა თვისაო“...

მაგრამ რამდენად არის გათვალისწინებული ბუნების კანონი ჩვენს კანონმდებლობაში დღეს? ალბათ, 15–20%-ით. დანარჩენი ხელოვნურია ყველაფერი, რადგან ადამიანი ბუნებას აღარ აქცევს ყურადღებას, აღარ სცემს პატივს, არადა, ბუნება არის ადამიანის შემქმნელი, გამომზრდელი, მაცოცხლებელი და როგორც ვაჟამ თქვა, „მბრძანებელი“. ჩვენ კი გადასული ვართ ბუნების ღვთიური კანონების ჩვენს თავზე მორგებაზე.

ის ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობაში ბუნებრივი კანონები მეტია, უფრო განვითარებულია და დემოკრატიული.

ვენეციის კონვენცია მიგვითითებს, როგორ ვიცხოვროთ. უძველესი ფილოსოფია კი ბრძანებს: კანონი უნდა მოარგო ერის ხასიათს და ქვეყნის საჭიროებასო. სხვადასხვა ქვეყნიდან შემოტანილი და დანერგილი კანონები ჩვენთან ვერ იმუშავებს. ვენეციის კონვენცია იგივეა. ვერც ეს იმუშავებს. ჩვენ ჩვენს ყოფას მორგებული კანონები უნდა შევქმნათ.

უსამართლოა ყველაფერი, რაც ბუნებრივ კანონს და კანონზომიერებას ეწინააღმდეგება. დემოკრიტე, პითაგორა, ჰიპია, სოკრატე, პლატონი, ზენონი, ციცერონი და სხვა ამაღლებული აზროვნების ადამიანებიც ამ აზრს იზიარებდნენ. დღევანდელი ქართველი ფილოსოფოსებიც ამ აზრზე არიან. მეც აბსოლუტურად ვეთანხმები და ვფიქრობ, საზოგადოებას, როგორც მთლიან სისტემას, საკუთარი რეგენერაციის, თვითგანვითარებისა და თვითორგანიზაციის თანდაყოლილი უნარი გააჩნია. საკმარისია, ამ სისტემაში ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ მოგონილი ბუნებრივი კანონზომიერებისგან განსხვავებული, გაუაზრებელი კანონები დაინერგოს, რომ საზოგადოება, როგორც სისტემა, სიცოცხლის უნარს დაკარგავს. შედეგად იმ საზოგადოებას მივიღებთ, რასაც დღევანდელი საქართველო ჰქვია.

აქედან გამომდინარე, გასაგებია ჩვენი უბედურების მთავარი მიზეზი, ბუნებრივი კანონზომიერების, ანუ ბუნებრივი სამართლის უგულებელყოფა და ვიღაცის მიერ საწერ მაგიდასთან გამოგონილი სამართლის, ანუ პოზიტიური სამართლის აღზევება.

ჩვენ არ ვითვალისწინებთ ერთ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ, როგორც აბსოლუტურად იდენტური ადამიანები არ არსებობენ. ასევე გამორიცხულია ერების, საზოგადოების და სახელმწიფოს იდენტურობაც და, შესაბამისად, ამ მრავალფეროვან, განსხვავებული თვისებების მქონე სისტემაში ერთი და იგივე სამართლის დანერგვა-დამკვიდრება ბუნების კანონზომიერებაში გაუაზრებელი ხელოვნური ჩარევის ტოლფასია. ასე რომ იყოს, მსოფლიოს განვითარებული სისტემის საუკეთესო იურისტებს შევკრებდით და ერთ უნივერსალურ სამართალს შევქმნიდით, რომელიც ყველა სახელწმიფოში უნიკალურ შედეგებს მოგვცემდა.

ადამიანების მიერ მიღებული კანონები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ბუნების, სამყაროს კანონებს. სამყარო გვაწვდის ნატურალურ პროდუქტს, ჩვენ ვქმნით გენმოდიფიცირებულს და ამით ვიკვებებით. რაც ნიშნავს, რომ მივდივართ ღმერთის, ბუნების წინააღმდეგ და ვისპობთ თავს. ადამიანი ის არის, რასაც ჭამს და სვამს. ჩვენს ორგანიზმს გენმოდიფიცირებული საკვებით თუ გამოვზრდით, საბოლოოდ ჩვენც გენმოდიფიცირებული გავხდებით.





რამდენიმე წლის წინ კონფერენციაზე მიმიწვიეს. ევროპის და ამერიკის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ იმ კონფერენციას. გამოვედი და პირდაპირ ვუთხარი ჩვენს მეგობრებს – აშშ-სა და დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებს – ყველაფერი საუკეთესო თქვენ, ძლიერ ქვეყნებს და ნარჩენები ჩვენ-მეთქი? საცდელი კურდღლები ხომ არ გგონივართ-მეთქი? – გაისუსნენ, ხმა არ ამოუღიათ. ნაგავსაყრელად იყენებენ ჩვენს ქვეყანას.

გამოსავალი ერთია – რაც შესაძლებელია, ყველაფერი ვაწარმოოთ ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ აქაც ვაწყდებით წინააღმდეგობას,. ზოგიერთ ბობოლას, გავლენების მქონეს, ხალხის დაწამვლვაში უნდა ფულის შოვნა, შემოაქვს საზღვარგარეთიდან კვერცხი, ქათამი, ყველი, სტაფილოც კი ისრაელიდან შემოდის, ბამბაზე გაზრდილ, ქიმიური ნივთიერებებით გაჟღენთილ სტაფილოს და სხვა ბოსტნეულს გვაჭმევენ...

დღეს საქართველოში ჭამის პრობლემა ვერ მოგვიგვარებია. არ გვაქვს საჭმელი, ვჭამთ შემოტანილ პროდუქციას, რომელიც არ მოწმდება და ხშირ შემთხვევაში, მავნებელია ორგანიზმისთვის.

რატომ არსებობენ სახელმწიფო სტრუქტურები? იმისთვის, რომ წესრიგი იყოს ქვეყანაში?! კი, ბატონო, მაგრამ, რა ჰქვია იმ წესრიგს, როცა მიწის ქვეყანაში, მიწის სახელწოდება რომ შეარქვეს ძველთაგანვე, ხალხი შიმშილობს და სხვისას ჭამს?!

რით მოვიწონოთ თავი?

ტურიზმით?!

საქართველო სავსეა ტურისტული ოაზისებით, თანაც სტუმართმოყვარე ხალხი ვართ. გვიყვარს სტუმრის დახვედრა. ქართველი კაცი უკანასკნელს გაიმეტებს, ბოლო-ბოლო ვალსაც აიღებს და სტუმარს ღირსეულად დახვდება, მაგრამ ისეთი დრო დაგვიდგა, რომ ზოგიერთებს სტუმრისაც ეშინია. აღარაფერი აქვს, რომ გაუმასპინძლდეს; ანუ, შეიძლება, მალე ტურისტულ ქვეყანადაც აღარ ვივარგოთ. საუბედუროდ, ნელ-ნელა ვკარგავთ ყველაფერს, რაც კარგი იყო ჩვენში.

ზოგიერთი მეტყვის: სამაგიეროდ, თავისუფალი და დამოუკიდებელი ვართო. მაგრამ იცით თუ არა, რომ მსოფლიოში არც ერთი ქვეყანა, არც ამერიკა და არც რუსეთი, არ არის სრულიად თავისუფალი, რადგან ვალდებულებები გააჩნიათ. როგორც ზემოთაც გითხარით, ყველა დამოკიდებულია ერთმანეთზე.

„ქვეყნისთვის თავგანწირვა უნდა შეგვძლოს“

წლების განმავლობაში ვჭიდაობდი სსრკ-ს ნაკრებში და ყოველთვის მქონდა შეგრძნება – როცა ვჭიდაობდი, მარტო ჩემთვის, საკუთარი გამარჯვებისთვის კი არ ვჭიდაობდი, იმათთვისაც ვიბრძოდი, ვინც სახლში დარჩა, დედისთვის, მამისთვის, ჩემი მიწისთვის, ჩემი ქვეყნისთვის...

თავს მოვალედ ვთვლიდი, სხვებზე უკეთესი ვყოფილიყავი.

სამშობლოა მთავარი და მისი პატრონობა ჩვენი ვალია.

ქვეყნისთვის თავის გაწირვა უნდა შეგეძლოს.

ამასწინათ ტელევიზიით ვნახე, გამოჰკითხეს თურმე 500 სკოლადამთავრებული – სად აპირებთ სწავლის გაგრძელებასო?! ხუთასივემ განაცხადა – სიამოვნებით ვისწავლიდით საზღვარგარეთო. სწავლას რომ დაამთავრებდით, დაბრუნდებოდითო? – ჰკითხეს, 480-ს განუცხადებია – არა, საქართველოში აღარ დავბრუნდებითო.

კარგია ოქსფორდში, კემბრიჯში და სხვა პრესტიჟულ სასწავლებლებში სწავლა, მაგრამ შენი ქვეყანა ყველას უნდა გერჩივნოს.

ბელორუსიის მმართველმა ალექსანდრ ლუკაშენკომ თქვა ამასწინათ – ახალგაზრდებს შევუწყვე ხელი უცხოეთში მიეღოთ უმაღლესი განათლება, საბოლოოდ კი ზოგი იქ დარჩა, ზოგი გზაში დამეკარგა, ხოლო ვინც აქ ჩამოვიდა, ყველა აგენტიაო.

ვინ არიან ეს ე.წ. არასამთავრობოები? ეს ის ხალხია, რომლებიც უცხოთიდან ანაზღაურებას ვერ მიიღებენ, თუ საკუთარი ქვეყნის ძირგამომთხრელ საქმეს არ გააკეთებენ. ესენი წყვეტენ ქვეყნის ბედს და მომავალს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

(გაგრძელება იქნება)

რატომ წავიდა სხვა ქვეყანაში 200 მილიონი ევრო, რომელიც ჩვენი უბინაოდ დარჩენილი მოსახლეობისთვის ნამდვილი შვება იქნებოდა?

საქველმოქმედო ფონდი „სხივის“ დამფუძნებელი ნატო დოლიძე ამბობს, რომ მისი ორგანიზაცია ბანკისა თუ კერძო იპოთეკარების წყალობით, უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების დასახმარებლად შეიქმნა და კონკრეტული პროგრამები შეიმუშავა, მაგრამ ხელოვნურად შექმნილი ბარიერების გამო, 200 მილიონი ევრო, რომელიც ჩვენს უსახლკაროებს უნდა მოხმარებოდა, რომელიღაც განვითარებადმა ქვეყანამ მიიღო.

„საერთო გაზეთს“ საქველმოქმედო ფონდი „სხივის“ დამფუძნებელი ნატო დოლიძე ესაუბრა:

— ბანკებისა და კერძო მევახშეების მიერ დაზარალებული და უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანები არის პრობლემა, რომელმაც ჩემს გარშემო, რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. სააღსრულებო პოლიციის მიერ განხორციელებული ბევრი არაადამიანური გამოსახლების მომსწრე ვარ, ამიტომ 4–5 წლის წინ დავიწყე მუშაობა, რომ ამ საშინელებას ბოლო მოღებოდა. ჩვენს ქვეყანაში ადამიანებმა საცხოვრისი სხვადასხვა მიზეზით დაკარგეს. ეს იყო საომარი მოქმედებები, სტიქიური უბედურებები და ა.შ. თუმცა, ვფიქრობ, რომ „თბილისელი ლტოლვილები“ ყველაზე უარეს მდგომარეობაში არიან.

— იქნებ დაგვიკონკრეტოთ, „თბილისელ ლტოლვილებში“ ვის გულისხმობთ?

— ძირითადად, ბანკებისა და კერძო იპოთეკარების გამო, უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანებს, თუმცა, აქვე შედიან სტიქიური უბედურებით დაზარალებულებიც. რეგიონებიდან ლტოლვილებს სახელმწიფომ რაღაც მაინც გაუკეთა. დიდი არაფერი, მაგრამ რაღაც სტატუსი მაინც აქვთ, რაღაც შეღავათები და რაღაც ყურადღება, მაგრამ „თბილისელ ლტოლვილებზე“ არავინ ფიქრობს. ამ ადამიანების უმეტესობას ინტელიგენცია წარმოადგენს, რომელიც ასეთ მდგომარეობაში ფაქტობრივად, არაინფორმირებულობის გამო აღმოჩნდა. მათ ვერც ახალ გარემოებებთან ადაპტაცია მოახერხეს, არც ქირის გადახდის საშუალება აქვთ და არც სახელმწიფო ზრუნავს მათთვის თავშესაფარის გამოყოფაზე. შარშანწინდელი სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში 380 000 ასეთი ოჯახი იყო და წარმოიდგინეთ, იმის შემდეგ რამდენი დაემატა.

ეს არის ბარბაროსობა, რომელიც დღესაც გრძელდება.

— რატომ მხოლოდ თბილისი? გადაუხდელი ვალების გამო, უსახლკაროდ რეგიონებშიც ბევრი ოჯახი რჩება.

— თავიდან რატომღაც მეგონა, რომ ეს უბედურება მხოლოდ თბილისში ხდება, მაგრამ როგორც გავარკვიე, სოფლის მოსახლეობასაც იგივე პრობლემები აქვს. ორი რეგიონის გუბერნატორთან მქონდა შეხვედრა, სადაც ახალი სოფლების პროექტები არსებობს, თუმცა ამ ეტაპზე ვაგონებიც კი არ აქვთ, რომ სტიქიით დაზარალებული ადამიანები შეასახლონ. სამწუხაროა, რომ ადამიანები იმის ნაცვლად, რომ თანხების მოძიებასა და ამ ადამიანების დახმარებაზე იფიქრონ, პრობლემას მშვიდად უყურებენ. თუ მე, ჩვეულებრივმა თბილისელმა ქალმა შევძელი უსახლკაროებისთვის თანხების მოძიება, მათ უფრო არ შეუძლიათ?

— იქნებ, დაგვიკონკრეტოთ, რა თანხებზეა საუბარი?

— ორი წლის წინ, უცხოელ დონორებთან საქმიანი ურთიერთობის შედეგად, მივაკვლიე დაფინანსების წყაროებს. ეს იყო უბინაოდ დარჩენილი მოსახლეობისთვის 200 მილიონი ევროს ოდენობის სახელმწიფო გრანტი. პრემიერ მინისტრს უნდა გაეკეთებინა მოთხოვნა და სახელმწიფოს აძლევდნენ დაფინანსებას კონკრეტულად, ამ პროგრამისთვის. იმ დროს, პრემიერ მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იყო. აპარატის თანამშრომლის, სალომე იობიძის დახმარებით, რომელმაც ეს თემა გულთან ახლოს მიიტანა, 4 იანვარს პრემიერთან შეხვედრა ჩაინიშნა, მაგრამ ღარიბაშვილი დეკემბრის ბოლო რიცხვებში მოულოდნელად გადადგა და შეხვედრა აღარ შედგა.

შემოწირულობების მისაღებად, გავაკეთე საქველმოქმედო ვებ-გვერდი. ბარათებით გადმორიცხვის სისტემისთვის „თიბისი“ ბანკმა მომცა საკმაოდ რთული პროგრამა, რომლის „ჩაშენებაზე“ უძლიერესი პროგრამისტები ორი თვის განმავლობაში მუშაობდნენ და როცა ყველაფერი მზად იყო, ბანკმა უარი თქვა ამ მომსახურეობაზე, მაგრამ არსებობს მეორე, მესამე, მეხუთე ბანკი, რომელიც აუცილებლად უნდა გამოვიყენო.

— როგორც ვხვდები, ახალ პრემიერთან შეხვედრის მცდელობა წარუმატებლად დასრულდა..

— შარშან სამთავრობო უწყებებიდან პრემიერთან შეხვედრა დამინიშნეს. საკუთარი ხარჯებით ჩამოვიყვანე ის პიროვნება, ვინც დონორი ფონდის რეკვიზიტებს პრემიერ მინისტრის გარდა, არავის ძლევდა. ორი კვირა იყო თბილისში და ამ ხნის მანძილზე, შეხვედრა სულ „ხვალისთვის“ ინიშნებოდა. ამდენ „ხვალეში“ ეს კაცი წავიდა და 200 მილიონი ევრო, რომელიც ჩვენი უბინაოდ დარჩენილი მოსახლეობისთვის ნამდვილი შვება იქნებოდა, სხვა ქვეყანაში წავიდა. გიმეორებთ, ეს იყო საჩუქარი და სანაცვლოდ არც ერთი კაპიკი არ გვქონდა გადასახდელი. ახლახან მოსკოვიდან ჩამოყვანილი მყავდა ინვესტორი, რომელიც მზად იყო თანხა მშენებლობაში ჩაედო. ეს იყო 14 წლიანი კრედიტი, წლიური 1-დან 3%-მდე სარგებელით. წლიური სამი პროცენტი წარმოიდგინეთ, რამხელა შეღავათია.. ფართის მიხედვით, ოჯახებს თვეში 50-დან 100 ლარამდე ანუ ქირაზე ნაკლების გადახდა მოუწევდათ. ეს პროექტი გათვლილი მქონდა ფენაზე, რომელიც მეტ-ნაკლებად ქირას იხდის, მაგრამ ბინის შეძენის რესურსი არ გააჩნია.

— ამ პროექტის განხორციელება რატომ ვერ შეძელით?

— საქმე ეხება უმარტივეს და ყველასთვის მომგებიან პროცედურას, რომელიც ევროპული ბანკებისთვის კარგადაა ცნობილი. ჩვენთან კი შედარებით ახალია და ზოგი ბანკი თავს იკავებს.. სამმა ბანკმა უარი გვითხრა ამ პროცედურით მომსახურეობაზე, თუმცა მეოთხესთან მოლაპარაკება მიმდინარეობს და არ ვიცი, როგორ დამთავრდება. მე არ გავჩერდები, რადგან თანხები, რომელმაც შეიძლება საქართველოში ბევრი კეთილი საქმე გააკეთოს, აფრიკაში ან სამხრეთ ამერიკის განვითარებად ქვეყნებში მიედინება. შეუძლებელია, ასე გაგრძელდეს, რადგან ეს პრობლემა დემოგრაფიაზეც ძალიან ცუდად მოქმედებს. ოჯახები მიდიან საქართველოდან, იმიტომ, რომ აქ აღარაფერი დარჩენიათ და ვიღაცა ამაზე უნდა დაფიქრდეს..

შეუსრულებელი საბანკო ვალდებულებებისა და იპოთეკით დაზარალებულთა თემაზე საუბრისას, „ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე აქცენტს მსესხებელთა უფლებების დაცვაზე ამახვილებს. გიორგი ბურჯანაძის თქმით, საქართველოში მსესხებელთა უფლებებს არავინ იცავს, როცა გამსესხებლისთვის ყველანაირი პირობაა შექმნილი.

— სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში გადახდისუუნარო ადამიანთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება, რასაც ხშირად, ოჯახების საცხოვრებლის გარეშე დარჩენა მოჰყვება. ქონებაჩამორთმეული ოჯახების ნახევარზე მეტი მევახშეებმა, მეოთხედი კი კომერციულმა ბანკებმა იმსხვერპლეს. ასეთ ვითარებაში, განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ მსესხებელთა უფლებებს არავინ იცავს, როცა გამსესხებლისთვის ყველანაირი პირობაა შექმნილი. გამსესხებელს შეუძლია მევალეს პირობები როგორც უნდა, ისე შეუცვალოს, ხელშეკრულებაში ბუნდოვნად გაწერილი მუხლები საკუთარ ინტერესებს მოარგოს და მსესხებელს გაცემულ სესხზე რამდენჯერმე მეტი ქონება წაართვას. დღევანდელი მოცემულობით, ბანკებს ათიდან რვა მსესხებელი „შავ სიაში“ ჰყავთ შეყვანილი, რაც იმას ნიშნავს, რომ საუბრები ეკონომიკის განვითარებასა და სამუშაო ადგილების გაზრდაზე რეალობას მოკლებულია და მოსახლეობა სერიოზული პრობლემების წინაშე დგას. ამ პრობლემებისა და საბანკო სექტორის უზარმაზარი საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით, გასაკვირი არაა, რომ „უიმედო სესხების“ რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. კაცმა რომ გვკითხოს, ევროპისა და ამერიკისკენ მივდივართ, რეალურად, ამერიკულ ბანკებში სესხზე წლიური 3%-ია გადასახადი, ჩვენთან კი 3% თვეში იღებენ. რამდენიმე წლის წინ, საქართველოში მსოფლიო ექსპერტების ფინანსური ჯგუფი იყო ჩამოსული. პირადად ვესაუბრე და გაოცება ვერ დამალეს, როცა გაიგეს, რომ ჩვენს ბანკებში წლიური პროცენტი 36% და 44%-ია. ასეთი რა შემოსავალი გაქვთ, რომ ბანკირებს ამდენს უხდითო, მკითხეს. ჩვენთან საბანკო სექტორი და სახელისუფლებო რგოლი ისე არიან შეხმატკბილებული, რომ ბანკირების იდილიას საფთხე არ ემუქრება. რიგითი მოქალაქე კი ამ მონსტრის პირისპირ მარტოდმარტო და სრულიად დაუცველი რჩება.

— თქვენი აზრით, ვინ და რატომ უნდა იყოს წინააღმდეგი, თუ უცხოელი დონორის ფული ქუჩაში დარჩენილ ადამიანებს დაასახლებს და დაეხმარება?

— არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ მევახშეებისა და ბანკებით დაზარალებულთა ინტერესების დამცველებს, ისეთ ბარიერებს უქმნიან, როგორც საქველმოქმედო ფონდ „სხივს“ შეუქმნეს. სამაგიეროდ, სექსუალური უმცირესობის დაცვის, კავკასიური კურდღლისა თუ ხოხბის გამრავლების თუ სხვა მსგავს პროგრამებს სრული მხარდაჭერა და მრავალმილიონიანი დაფინანსება აქვს. მე არ ვამბობ, რომ სექსუალურ უმცირესობას დაცვა არ ჭირდებათ, ან კავკასიური ხოხბის გამრავლებაზე არ უნდა ვიზრუნოთ, მაგრამ საბანკო სექტორით თუ კერძო მევახშეებით დაზარალებულები ამ ქვეყნის მოქალაქეები არ არიან? მათ დაცვა არ ჭირდებათ? როგორ შეიძლება, რომ ასეთ სიტუაციაში დონორის ფულს გზა ჩაუკეტო? რამდენი ადამიანი იგრძნობდა შვებას, რომ ეს თანხები რომ საქართველოში შემოსულიყო. რამდენი უფასო იურიდიულ მომსახურეობას მიიღებდა და რამდენი საცხოვრისს... უამრავ ადამიანს გადავარჩენდით და უამრავი ადამიანი საქართველოში დარჩებოდა, ეს პროექტი რომ დაფინანსებულიყო. ვის ინტერესებში არ შედიოდა ამ გაუბედურებული ხალხის დახმარება, ვერ გეტყვით.. თავად არკვიონ...

ნელი თორდია
571 35 36 88

როგორ წარიმართება სამყაროს პოლიტიკური მომავალი?

მსოფლიოს ქვეყნების ყურადღება, თამამად შეიძლება ვთქვათ, ჰამბურგისკენ არის მიპყრობილი, გერმანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქისკენ, სადაც 7 ივლისს უნდა შედგეს ე.წ. დიდი ოცეულის შეხვედრა. სწორედ ამ სამიტზე უნდა გაირკვეს, თუ რომელი გზით წარიმართება სამყაროს პოლიტიკური მომავალი. ჰამბურგში ასევე დაგეგმილია აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპისა და რუსეთის პრეზიდენტის პირველი შეხვედრა პირისპირ. ორმხრივ დიალოგს, თუნდაც გაცნობისას, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების პოლიტიკოსები, რადგან ურთიერთობა ამ ქვეყნებს შორის უკიდურესად დაიძაბა. პოლიტოლოგები და ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ „ცივი ომი“ საბრძოლო მოქმედებებში გადაიზარდოს.

ამერიკელი პოლიტოლოგისა და ჟურნალისტის არიელ კოენის განცხადებით, ადვილი შესაძლებელია, მოხდეს შეიარაღებული შეტაკება აშშ-სა და რუსეთს შორის. თუმცა, როგორც პოლიტოლოგი ვარაუდობს, საბრძოლო მოქმედებები ამ ქვეყნების ტერიტორიაზე არ განხორციელდება, ამისთვის სხვა, ე.წ. „მესამე ქვეყნების“ ტერიტორიებს გამოიყენებენ. თუ ამერიკელი პოლიტოლოგის ვარაუდი გამართლდა, უნდა დაველოდოთ ახალ, ვიეტნამის მსგავს ომს. თუმცა კატეგორიულად გამორიცხავს, რომ ეს ორი უდიდესი ქვეყანა ბირთვულ იარაღს არ გამოიყენებს.

არიელ კოენი არ უარყოფს, რომ აშშ-ის კონგრესსა და თეთრ სახლს შორის დაპირისპირებაა. ამასთან, სენატორებისა და კონგრესმენების ნაწილი ეწინააღმდეგება ტრამპის პოლიტიკას. მისივე განცხადებით, აშკარაა, რომ მათ ტრამპის გადაყენების სურვილი აქვთ. „ამისთვის ყველა საშუალებას გამოყენებენო“, — პროგნოზირებს პოლიტოლოგი. კოენის ვარაუდით, ტრამპის მოწინააღმდეგეთა ჯგუფს სურს დაძაბოს ურთიერთობა ჩინეთსა და რუსეთს შორის. ამ ბრძოლაში გამარჯვებას კოენი აშშ-ს უწინასწარმეტყველებს.

ამერიკელმა რეჟისორმა ოლივერ სტოუნმა გადაიღო ვრცელი დოკუმენტური ფილმი სათაურით „საუბარი პუტინთან“. სურათის პრემიერა ჯერ არ შემდგარა. როგორც ამბობენ, თავდაპირველად აშშ-ის მაყურებელი იხილავს მას. მანამდე გავრცელებული ფილმის ნაწყვეტებიდან ჩანს, რომ ინტერვიუში სტოუნი საკმაოდ ვრცლად ესაუბრება პუტინს. მოსალოდნელია თუ არა შეიარაღებული კონფლიქტი ორ ქვეყანას შორის, თუ იქნება ომი, რა სახის, გამოიყენებენ თუ არა ბირთვულ იარაღს და ა. შ. როგორც ჩანს, საკმაოდ ბევრ პოლიტოლოგს აინტერესებს და აღელვებს, დაიწყება თუ არა ახალი ომი.

ეს წინასწარ ძნელი სათქმელია, მაგრამ არ გამორიცხავენ სირიაში სამთავრობო ჯარებისა და კოალიციის შეტაკებას. ვითარებას ამწვავებს ის გარემოებაც, რომ გაზაფხულზე აშშ-რუსეთს შორის შეთანხმებული მემორანდუმი — თავიდან აიცილონ რაიმე გაუგებრობა ტერორისტებთან ბრძოლისას, რუსეთის მხარემ გააუქმა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი პარტნიორებს პატიოსანი მოქმედებისკენ მოუწოდებს, რათა თავიდან აიცილონ დაპირისპირება.

ამასობაში დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის წინადადებების გათვალისწინებით კონგრესმა შეაჩერა რუსეთ-ირანისთვის დაწესებული სანქციების გამკაცრება-გახანგრძლივების კანონპროექტის განხილვა და დაიწყო მისი გადამუშავება, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ კანონი საგრძნობლად შერბილდება.

პოლიტოლოგების განცხადებით, რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებში ჯერ კიდევ ობამას პრეზიდენტობის დროიდან უამრავი „ნაღმია“ ჩადებული. გარკვეულ ძალებს მსოფლიოში პოლიტიკური ვითარების შეცვლის გარდა, სამყაროს ბაზრის დაპყრობა სურთ. განსაკუთრებით აშინებთ რუსეთ-ჩინეთის დაახლოება. ამიტომაც აცხადებენ ექსპერტები, რომ, რადგან დონალდ ტრამპი არ ებრძვის რუსეთს, მის მოწინააღმდეგებს მიაჩნიათ, რომ რუსეთის კაცია.

ისრაელის სამხედრო ექსპერტი იაკობ კიდმი აცხადებს: „აშშ-ის ახალი პოლიტიკური მოქმედების სისტემას სამ ეტაპად დავყოფდი. პირველი. შეიარაღებული გზით მოქმედება და ძალის გამოყენებით გარკვეულ ქვეყნებზე უპირატესობის მოპოვება. მეორე. არასასურველი პოლიტიკური სიტუაციის შეხვლა რევოლუციებით. მესამე. თავიანთი გაძვირებული თხევადი გაზით მსოფლიო, განსაკუთრებით ჩინეთის ბაზრის დაპყრობა. საქმეც ის გახლავთ, რომ გეგმამ, ფაქტობრივად, არ იმუშავა. აშშ-ში ისიც კარგად იციან, რომ რუსეთი თუნდაც მათ წინააღმდეგ უახლეს შეიარაღებას არ გამოიყენებს. თუმცა, მათთვის მთავარი სამხედრო ბიუჯეტის გაზრდაა, რათა შემდეგ თავადაც იხეირონ“.

მოსალოდნელი სანქციებით რუსეთის გარდა ევროპელებიც არიან შეშფოთებული. ფრანგი პოლიტოლოგები აცხადებენ, რომ სანქციები, ფაქტობრივად, ევროპისკენ არის მიმართული, რადგან აშშ-ის მხარეს სურს თავისი რეკორდულად გაძვირებული თხევადი გაზით ბუნებრივის ჩანაცვლება და ხელის მოთბობა. მათივე განცხადებით, ამით საბანკო სფეროსაც რთულ პირობებში ჩაყენებენ. გერმანელები უფრო შორს წავიდნენ და აშშ-ისთვის ითხოვენ სანქციების დაწესებას. რამდენად შესწევთ ძალა ევროპელებს, იმოქმედონ თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, ჰამბურგში გამოჩნდება.

ევროპელების პირობებს აზია-აფრიკელი მიგრანტებიც ართულებენ. მიმომხილველების მონაცემებით, ლიბიაში 850 ათასი ადამიანია მზად ევროპაში გადასასვლელად, ხოლო თურქეთში 3 მილიონამდე ჰყავთ შეჩერებული. მიმომხილველები ეჭვობენ, რომ თურქეთი დიდხანს არ შეიფარებს მათ. ეჭვის საფუძველს საუდის არაბეთის ულტიმატუმი აძლევთ, რომელმაც ყატარში თურქეთის სამხედრო ბაზის დახურვა კატეგორიულად მოსთხოვა, რამაც თურქეთის გაღიზიანება გამოიწვია. აქვე აღსანიშნავია, რომ უკვე დაიწყო და ჩქარი ტემპით მიმდინარეობს რუსეთ-თურქეთის გაზსადენის მშენებლობა, რომელიც გაისად ამოქმედდება და წელიწადში 31 მილიარდ კუბომეტრ გაზს გაატარებს. „ჩრდილოეთ ნაკადის“ მშენებლობის შეჩერების შემთხვევაში ევროპელებისთვის დიდი დარტყმა იქნება თურქეთიდან გაზის შეძენა, რადგან ქვეყანა, ფაქტობრივად, მონოპოლისტი გახდება ევროპის ბაზარზე.

რატომ აწუხებს აშშ-ს რუსეთ-ჩინეთის დაახლოება, ბევრს აინტერესებს. დავიწყოთ იმით, რომ ჩინეთის ეკონომიკა მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავეა და ზოგიერთ დარგში პირველ ადგილზეა. ჩინური ბაზარი ნებისმიერი ქვეყნისთვის მომგებიანი გახდა. სავარაუდოდ, მოკლე ხანში აზიის რეგიონში ის ერთპიროვნული ლიდერი გახდება.

ყველაფერთან ერთად, ჩინეთი „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის“ წევრი და ერთ-ერთი ლიდერია. ორგანიზაცია 2001 წელს ჩინეთის, რუსეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და უზბეკეთის ლიდერების თაოსნობით დაფუძნდა. ის არ წარმოადგენს რაიმე სამხედრო ბლოკს. ორგანიზაციის მიზნების უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცება რეგიონში, ტერორიზმთან და სხვა დანაშაულთან ერთობლივი ბრძოლა. რაც მთავარია, ეკონომიკური, ენერგეტიკული, სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობა.

ორგანიზაციაში დღეს 8 ქვეყანაა გაერთიანებული — ინდოეთი, ჩინეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, პაკისტანი, რუსეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი. დამკვირვებელი ქვეყნებია ავღანეთი, ბელორუსი, ირანი და მონღოლეთი. მათ გარდა კიდევ 10 ქვეყანას აქვს ორგანიზაციასთან სხვადასხვა სახის ურთიერთობა.

შანხაის ორგანიზაციაში გაერთიანებულ ქვეყნებს ევრაზიის ტერიტორიის 70 პროცენტამდე უკავიათ, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა 4 მილიარდს სცდება. აქვე აღსანიშნავია, რომ ინდოერთი და პაკისტანი წლეულს ივნისში გაწევრიანდნენ. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ორივე ახალ წევრ ქვეყანას ერთმანეთთან დაძაბული ურთიერთობა აქვს, თუმცა ომს ეკონომიკური თანამშრომლობა აბჯობინეს. ორგანიზაციაში ჩინეთის გარდა ეკონომიკურად ანგარიშგასაწევია, აგრეთვე, ყაზახეთი, ინდოეთი, რუსეთი. ალბათ, ამიტომაც უწოდეს ორგანიზაციას ექსპერტებმა „ახალი რვიანი“.

თუ გავაანალიზებთ შანხაის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ურთიერთობებს, დავინახავთ, რომ ოფიციალურად სამხედრო ბლოკის დარქმევა ზედმეტიც კი იქნებოდა. სწორედ ეს გარემოება აღელვებს აშშ-ის პოლიტიკურ და ბიზნეს-ელიტას, რადგან რეგიონში მათი გავლენა შემცირდა. ახალი „აბრეშუმის გზის“ ამოქმედება შანხაის ორგანიზაციის ქვეყნებს კიდევ უფრო დიდი შესაძლებლობებს მისცემს, რადგან ევროპელი და აზიელი ბიზნესმენები თავიანთ პროდუქციას მოკლე გზით შეიტანენ.

ამასობაში დონალდ ტრამპს მოწინააღმდეგეებთან უწევს ბრძოლა. მათ შორის აშს-ის მედიასთან, რომელსაც ევროპელმა ჟურნალისტებმა რაღაც „ახალი ფენომენი“ შეარქვეს ზოგიერთი მათგანის აბსურდული სტატიებისა და სიუჟეტების გამო. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კონგრესი სახიფათო თამაშს თამაშობს. დასავლელი პოლიტოლოგების განცხადებით, ზოგიერთი კონგრესმენისთვის მთავარია, როგორმე არ შედგეს პუტინისა და ტრამპის პირისპირ შეხვედრა, რადგან ეშინიათ, პუტინმა თავისი გავლენის ქვეშ არ მოაქციოს იგი.

გია ბურდული
551 71 27 07

ძლიერი რეგიონები

შუახევი

„შუახევიჰესის“ მშენებლობა დასრულდა

„შუახევიჰესის“ მშენებლობა 2013 წლის შემოდგომაზე დაიწყო. პროექტის ფარგლებში აშენდა ორი კაშხალი შესაბამისი წყალსაცავებითა და დამბებით.

„შუახევიჰესის“ გვირაბის ჯამური სიგრძე 38 კილომეტრია და ის მეორე ყველაზე გრძელი ჰიდროელექტროსადგურის გვირაბია მსოფლიოში. პროექტის საინვესტიციო ღირებულება 420 მილიონ ამერიკულ დოლარს აჭარბებს.

ჰესების დადგმული სიმძლავრე ჯამურად 187 მეგავატია. პროექტის ფარგლებში დასაქმებული იყო 730 საქართველოს მოქალაქე.

ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია ზამთრის თვეებში, ენერგოდეფიციტის დროს, მთლიანად საქართველოში დარჩება. „შუახევიჰესი“ 450 გიგავატ/საათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში კომპანიამ 70-ზე მეტი სოციალური პროექტი განახორციელა. ინფრასტრუქტურულ, საგანმანათლებლო, ადგილობრივი თემების განვითარების პროექტებში ჯამურად ჩართული იყო 10 000-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები.

„ აჭარისწყალი ჯორჯია“ აფინანსებს საქართველოში ყველაზე დიდი ალპური ბოტანიკური ბაღის მშენებლობას გოდერძის საკურორტო ზონაში, ასევე, ხულოს სამკერვალო ქარხანას, სადაც 300-მდე ადგილობრივი მცხოვრები დასაქმდება.

დუშეთი – ურბანული სტრატეგიების პროექტი

დუშეთის ყოფილი მუსიკალური სკოლის შენობაში გაიმართა ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის დახურვის ღონისძიება. „თემის მიერ მართული ურბანული სტრატეგიების“ (ÞOMUS) ორწლიანი პროექტის ფარგლებში უამრავი ღონისძიება განხორციელდა და შეიქმნა კულტურული მემკვიდრეობის გამოყენების გზით ქალაქ დუშეთის განვითარების საბაზო გეგმა ხუთი ძირითადი მიმართულებით.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო პროექტის აქტივობების ამსახველი პრეზენტაცია. წარმდგენმა, პროექტის ოფიცერმა რუსუდან მირზიკაშვილმა ისაუბრა პროექტის იმპლემენტაციის სიკეთეებსა და ადგილობრივი თემის მონაწილეობაზე, ხოლო პროექტის კოორდინატორმა ლეილა თუმანიშვილმა ყ პროექტის ყურადღება გაამახვილა პერსპექტივაზე და სამომავლო თანამშრომლობაზე.

ღონისძიებაზე სტუმრებს სიტყვით მიმართა გამგებლის პირველმა მოადგილემ და პროექტ COMUS-ის მენეჯერმა ბექა ღარიბაშვილმა.

წნორიდან ჩამოსულმა სტუმარმა ნანა ბაგალიშვილმა კი ადგილობრივ ახალგაზრდებს გააცნო თავისი პროექტი „სოციალური კაფე“, რომელიც წნორში წარმატებით ფუნქციონირებს. „ცოდნის კაფე“ სოციალური საწარმო და მულტიფუნქციური სივრცეა, სადაც ერთიანდება კაფე, წიგნის მაღაზია, ბიბლიოთეკა/სამკითხველო და არაფორმალური საგანმანათლებლო სივრცე.

ღონისძიების დასასრულს დაიგეგმა სამომავლო აქტივობები.

წყალტუბო – გზების კეთილმოწყობა სოფელ ქვიტირსა და სორმონში

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას განაგრძობს. 2017 წლის რეგიონული განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული უმსხვილესი პროექტების ფარგლებში მიმდინარე გზების რეაბილიტაციის სამუშაოები სოფელ ქვიტირსა და სორმონში იმერეთის მხარის გუბერნატორმა გივი ჭიჭინაძემ, პირველ მოადგილესთან პაატა ნადირაძესთან, ვიცე-გუბერნატორ იოსებ ხახალეიშვილთან და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელ კონსტანტინე მამისეიშვილთან ერთად დაათვალიერა.

„გზების მოწესრიგება ჩვენი პრიორიტეტია, 542 740 ლარით ფინანსდება სოფელ ქვიტირში გზის რეაბილიტაციის, ხოლო 70 000 ლარით – სოფელ სორმონში წმინდა სამების სახელობის მამათა მონასტერთან მისასვლელი გზის ბეტონის საფარით მოწყობის პროექტები“,– აცხადებს მუნიციპალიტეტის გამგებელი კონსტანტინე მამისეიშვილი. მისივე თქმით, ყველაფერი კეთდება სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებისთვის.

ხარაგაულში უამინდობის შედეგებს ებრძვიან

ძლიერი წვიმის შედეგად ხარაგაულის რამდენიმე სოფელში ინფრასტრუქტურა დაზიანდა. ღვარცოფებმა დააზარალა მოსახლეობა და ჩაკეტა გზები. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკო თოფურიძე მოადგილეებთან ერთად ადგილზე გაეცნო შექმნილ ვითარებას. მობილიზებულმა შესაბამისმა სამსახურებმა დროულად დაიწყეს პრობლემების აღმოფხვრა.

უხვი ნალექის შედეგად დაზიანებული საღანძილის გზის აღდგენითი სამუშაოები მაშინვე დაიწყეს. მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის, არჩილ მაღრაძის ინფორმაციით, ამ დროისთვის გზებზე შეფერხებები არც ერთ სოფელში არაა. ადგილზე იმყოფებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკო თოფურიძე, მოადგილე თემურ ჩხეიძესთან ერთად თვალყურს ადევნებდა საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენით სამუშაოებს.

გზა გაიხსნა როგორც ისლარის, ისე საღანძილის მიმართულებით. გაიწმინდა სანიაღვრე არხები, ფერდობებიდან ჩამოსული ქვა-ღორღისგან კი – ქუჩები.

ნიკოლოზ თოფურიძის ინფორმაციით, სტიქიით მიყენებული ზარალის დადგენას სპეციალური კომისია უკვე სწავლობს.

ხარაგაული

გურჯაანი – სადგურის უბნის გზის რეაბილიტაცია კალაურში

სოფელ კალაურში სადგურის უბნის გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. მთლიანობაში უნდა მოასფალტდეს 803 მეტრი სიგრძის გზა. ინფრასტრუქტურული პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურების უფროსებმა სამუშაოები ადგილზე დაათვალიერეს.

გზის რეაბილიტაცია 28 აგვისტოს დასრულდება.

გურჯაანი

დედოფლისწყარო – გამგებელი მირზაანელებთან

გამგებლის ინიციატივა – „ერთი დღე სოფელში“ გრძელდება. სოფელ ოზაანის შემდგომ, გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი სოფელ მირზაანის მცხოვრებლებს შეხვდა. მან პირადად მოისმინა იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც სოფელში აწუხებთ. ნიკოლოზ ჯანიაშვილი ადგილობრივებს სოფელში არსებული პრობლემების უმოკლეს ვადაში მოგვარებას დაჰპირდა.

გამგებლის ინიციატივაში – „ერთი დღე სოფელში“ სიახლეა: ამიერიდან იგი სოფლების მოსახლეობას შეხვდება „საქართველოს წითელი ჯვრის“ დედოფლისწყაროს ფილიალის ექიმებთან ერთად, რომლებიც მოსახლეობას ჩაუტარებენ უფასო სამედიცინო გამოკვლევებს, კერძოდ: ექოსკოპიურ, კარდიოლოგიურ გამოკვლევებს, სისხლის საერთო ანალიზს. მოსახლეობის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის დიაგნოსტირების შემდეგ მათ შესაბამისი დანიშნულებები მიეცემათ.

შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან თეთრიწყაროში

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ერეკლე კუხიანიძე ქალაქ თეთრიწყაროს ტოლსტოის, აღმაშენებლის, გურამიშვილის, რუსთაველის, თუმანიანის, კრწანისისა და ჯავახიშვილის ქუჩებზე მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

ერეკლე კუხიანიძე გაეცნო მოსახლეობის პრობლემებს

ძლიერი საქართველოსთვის

თეთრიწყარო

და ამომწურავი პასუხები გასცა მათ შეკითხვებს, ასევე მიაწოდა ინფორმაცია გამგებლის მრჩეველთა საბჭოს გადახალისების შესახებ და აღნიშნა, რომ საბჭოს შემადგენლობის შერჩევის პროცესში მნიშვნელოვანია საბჭოს შემადგენლობა გამგებელს თვითონ წარუდგინოს მოსახლეობამ. ერეკლე კუხიანიძემ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის აქტიური ჩართვის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება.

760 ათასი ლარი ფოთის საკანალიზაციო ქსელის სრული რეაბილიტაციისთვის

ფოთის მერმა ირაკლი კაკულიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსანდრე თოფურიამ 9 აპრილის ქუჩის 33-ე კორპუსში შიდა საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები დაათვალიერეს.

პროექტის მიხედვით შიდა საკანალიზაციო ქსელი 35 მრავალსართულიან კორპუსში რეაბილიტირდება, რისთვისაც 760 ათასი ლარი დაიხარჯება. აქედან 217 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო, ხოლო დარჩენილი თანხა, 543 ათასი ლარი – რეგიონული განვითარების ფონდიდან.

მრავალსართულიან კორპუსებში შიდა საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია 2016 წელსაც განხორციელდა. პროექტის მიხედვით, საკანალიზაციო სისტემა 26 მრავალსართულიან კორპუსში მოწესრიგდა, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 588 690 ლარი დაიხარჯა.

2383000 ლარი აბაშის სოფლების გაზიფიცირებისთვის

აბაშის მუნიციპალიტეტის სამი ადმინისტრაციული ერთეულის გაზიფიცირების ფარგლებში, ნორიოს ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი 5 სოფლის გაზიფიცირება 2017 წლის ბოლომდე დასრულდება,– აცხადებს აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელი მამუკა კვიტაშვილი.

„ჩვენ დავიწყეთ სამი ადმინისტრაციული ერთეულის: ნორიოს, სეფიეთისა და ძველი აბაშის გაზიფიცირება, რომელიც გულისხმობს 1257 აბონენტისთვის ბუნებრივი აირის მიწოდებას. ეს პროცესი მიმდინარე წელს დასრულდება.

აქვე მინდა განვმარტო, რომ ნორიოს ადმინისტრაციული ერთეული აერთიანებს 6 სოფელს. ნორიოს გარდა, მასში შედის შემდეგი სოფლები: მაცხოვრისკარი, ძიგური, საბოკუჩავო, აბაშისპირი და საგვაზაო. პროექტის მიხედვით, აღნიშნული სოფლების ყველა ოჯახი ისარგებლებს ბუნებრივი აირით. მათ ექნებათ შესაძლებლობა, მომავალი ზამთარი თბილ და კომფორტულ გარემოში გაატარონ“,– განმარტავს მამუკა კვიტაშვილი.

მიმდინარე წელს გაზიფიცირების ქსელს 77 908 გრძივი მეტრი დაემატება. პროექტების ღირებულება 2 383 000 ლარია.

2016–2017 წლებში სამეგრელო-ზემო სვანეთის 14 დასახლებული პუნქტია გაზიფიცირებული.

14 მილიონი რუსთავის ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის

გომელაურის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ამ დროისთვის ტერიტორიიდან ასფალტის დაზიანებულ საფარს ხსნიან. ამავე პროექტის ფარგლებში, გომელურის ქ. №№1–10, ფიროსმანის ქ. №№21, 23, 25, 27, 29 და მშენებელთა ქ. №№28, 30, 32, 34, 36 საცხოვრებელი შენობების ეზოებში შეიცვლება სანიაღვრე სისტემა და დაიგება ასფალტის ახალი საფარი.

შიდა ეზოების კეთილმოწყობის პროცესი გრძელდება ასლანიკაშვილის ქუჩაზე. №№7, 9, 9ა, 11, 11ა, 13 საცხოვრებელი კორპუსების ეზოებში იცვლება სანიაღვრე ქსელი და მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ასფალტის საფარის განახლებისთვის.

თოდრიას ქუჩის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, დეკორატიული ფილებით ტროტუარების მოპირკეთება, სანიაღვრე სისტემისა და ბორდიურების მოწყობა, გარე განათების აღდგენისთვის კი, მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს.

ტაშკენტის ქუჩაზე ტროტუარების კეთილმოწყობა, შარტავას გამზირზე, ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში სარემონტო სამუშაოები, ცურტაველის ქუჩაზე კი, №10 ბაგა-ბაღის შენობის დემონტაჟი გრძელდება.

მერიაში აცხადებენ, რომ რუსთავში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ბიუჯეტიდან ამ ეტაპზე 14 მილიონია გამოყოფილი.

მარტვილის მუნიციპალიტეტში თანამედროვე სტადიონი აშენდება

სტადიონზე მოეწყობა ხელოვნური საფარი, დამონტაჟდება 500 მაყურებელზე გათვლილი სკამები, ობიექტი შესაბამისი აპარატურით აღიჭურვება.

2013 წლიდან დღემდე მარტვილის მუნიციპალიტეტში 3 ახალი ხელოვნურსაფრიანი საფეხბურთო მინიმოედანი აშენდა და სრულად რეაბილიტირდა ცენტრალური სტადიონი.

რუსთავი

სენაკის ცენტრალური ნაწილის განახლების პირველი ეტაპი

სენაკში, ქალაქის ცენტრის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, რუსთაველისა და წმინდა ნინოს ქუჩების კვეთაზე, დაიწყო მოედნის კეთილმოწყობის სამუშაოები, რომელიც მოიცავს გზის ბაზალტის ქვაფენილით მოპირკეთებას, გრანიტის ქვაფენილების დაგებას, მიმდებარე ტერიტორიაზე გამწვანების ზოლისა და დეკორატიული ლითონის მოაჯირის, აგრეთვე თანამედროვე სტანდარტების გარე განათების დამონტაჟებას. ფეხით მოსიარულეთათვის მოეწყობა გრანიტის ტროტუარები და ბორდიურები.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ სამუშაოების მიმდინარეობა შესაბამისი სამსახურეების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

დმანისი

სამუშაოებზე, რომლის ღირებულება 167 400 ლარია, დასაქმებულია 25 ადამიანი.

წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების დამაკავშირებელი გზა

მიმდინარეობს წალენჯიხა-ნაკიფუ-ლეწურწუმე-ჩხოროწყუს 10-კმიანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. 10-კილომეტრიან მონაკვეთზე:

- დაიგება ასფალტბეტონის საფარი
- მოეწყობა ეზოში შესასვლელები, წყალამრიდი მილები და საგზაო ნიშნები

პროექტს მუნიციპალური განვითარების ფონდი ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) დაფინანსებით ახორციელებს.

გზის რეაბილიტაციის სამუშაოები 2017 წლის აპრილში დაიწყო და წელსვე, სექტემბერში დასრულდება.

დმანისი – დევნილ ოჯახებს საცხოვრებელი სახლები შეუძინეს

დმანისში დევნილ ოჯახებს საცხოვრებელი სახლები საკარმიდამო მიწის ნაკვეთით შეუსყიდეს.

დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი და დმანისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები დმანისის მუნიციპალიტეტში დევნილი ოჯახებისთვის გადაცემული სახლის ახალ მფლობელებს ესტუმრნენ.

აღსანიშნავია, რომ დევნილთა და განსახლების სამინისტრომ ქვემო ქართლის რეგიონში სახლი საკარმიდამო მიწის ნაკვეთით 293 დევნილ ოჯახს შეუსყიდა.

„სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში, დევნილი ოჯახი თავად არჩევს კერძო სახლს საქართველოს ნებისმიერ რეგიონში.

ბოლნისი – შეხვედრა სოფელ ტანძიის მოსახლეობასთან

ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელი დავით შერაზადიშვილი ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან ერთად სოფელ ტანძიის მოსახლეობას შეხვდა და მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ინფორმაცია პირადად მოისმინა.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა ადგილობრივებს ტანძიაში წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ აცნობა: წელს საბავშვო ბაღში საკანალიზაციო ქსელისა და სველი წერტილების მოწესრიგება იგეგმება; წელსვე კეთილმოეწყობა ბაღის ეზოში საბავშვო გასართობი მოედანიც; შემოდგომაზე სოფელში არსებული ორი ისტორიული წყაროს რეაბილიატია განხორციელდება; 700 გრძივ მეტრზე მოეწყობა გარე განათების ქსელიც და ამით მოსახლეობას ღამის საათებში უსაფრთხო გადაადგილების საშუალება მიეცემა; ზემო ტანძიაში წელსვე შემოიღობება რიტუალების სახლის ეზო, ხოლო შენობის შიგნით ფილები დაიგება.

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

მოჰენჯო დარო

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017

მოჰენჯო-დარო – ინდის ცივილიზაციის ქალაქი სინდის პროვინციაში, რომელიც ჩვენს ერამდე 1600 წელს აშენდა თანამედროვე პაკისტანის ტერიტორიაზე, მდინარე ინდის ხეობაში და კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ უძველესი ქალაქია, აზიისთვის კი პირველი ქალაქი. ის ძველი ეგვიპტისა და შუამდინარეთის ცივილიზაციების თანამედროვეა. ოდესღაც მაღალ დონეზე განვითარებულ ქალაქში აღმოჩნდა თანამედროვე კანალიზაციის მსგავსი სისტემაც. უცნაურია, რომ არქეოლოგებმა მხოლოდ 1922 წელს აღმოაჩინეს იგი.

მოჰენჯო-დარო მეორე ქალაქ, ჰარაპასთან ერთად მეტოქეობას უწევდა ეგვიპტესა და მესოპოტამიას. ქალაქს ჰქონდა ეფექტურის დაგეგმარება და გამოირჩეოდა მშვენიერებით. სახლებზე აგურით ნაშენი აბანოებიდან და საპირფარეშოებიდან ნარჩენი წყალი ჩაედინებოდა კარგად კონსტრუირებულ საკანალიზაციო მილებში, რომელიც გაყვანილი იყო ქალაქის ქუჩების გასწვრივ და ასევე, დაფარული იყო აგურით. აქ აღმოჩენილ უამრავ არტეფაქტებს შორის არის 10 სმ-ის სიმაღლის ბრინჯაოს ქანდაკება „მოცეკვავე გოგონა“, რომელსაც ერთი ხელი თეძოზე აქვს შემოდებული, სახე კი წინ წამოწეული. ეს პატარა ქანდაკება მრავლისმთქმელია იმდროინდელ არა მხოლოდ ოსტატთა განვითარებაზე, არამედ ხელოვნებაზე, კულტურაზე, ქალზე... ძველი ქალაქის მხოლოდ მცირე ნაწილია გათხრილი და რაც არის ისიც ინგრევა, არადა, ათასობით წლები გასძლო მიწიქვეშ... 1980 წელს მოჰენჯო-დარო შეიტანეს იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების სიაში

მზის კარიბჭე – დასავლეთ ბოლივიაში მდებარე ეს კარიბჭე ერთ მთლიან მონოლითურ ქვას წარმოადგენს და ტიუანაკოს ცივილიზაციას განეკუთვნება. 1500 წლის უკან აქ იყო იმპერია, რომელიც პერუდან დასავლეთ ბოლივიამდე ვრცელდებოდა. ეს იმდენად ძლიერი იმპერია იყო რომ ხშირად ინკების იმპერიას ადარებენ.

ქვის ხანის გვირაბების ქსელი – დიდი ხანი არ არის, რაც გვირაბების ეს ქსელი აღმოაჩინეს. სავარაუდოდ, მისი გაჭრა ქვის ხანაში მოხდა და შოტლანდიიდან თურქეთამდე ლამის მთელ ევროპას მოიცავს.

ლონგიუს ხელთუქმნელი მღვიმეები – ჩინეთის პროვინციალ ჩეჟეიანის ტერიტორიაზე მდებარე საოცარი მღვიმეები ჩვ. წ. აღ212 წლით თარიღდება. აღსანიშნავია, რომ ქვაბულები ადამიანის ხელით არის გამოთლილი და სავარაუდოდ, მილიონ ტონაზე მეტი ქვა გადაზიდეს. მათ შესახებ მეცნიერებას ჯერ არანაირი ახსნა არ აქვს.

გიობეკლი-თეფე – როგორც ირკვევა, ამ სამონასტრო კომპლექსის ასაკი 12 000 წელია და მეცნიერებს უამრავი თავსატეხი გაუჩინა.

კოტა რიკის ქვის ბურთები – მათზე, პრაქტიკულად, არანაირი ცნობა არ არსებობს, მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ჩვ. წ. აღ700–1500 წლებში მდინარე დიკვის მიმდებარედ მცხოვრებმა ხალხებმა შექმნა. ზოგი მეცნიერი ამ ქვებს დაკარგულ ატლანტიდას უკავშირებს. თითო ბურთი 15 ტონაა.

კუნძულ იონაგუნის წყალქვეშა პირამიდები – მეცნიერებს დღემდე ვერ გაურკვევიათ ეს წყალქვესა ნაგებობა ნამდვილად ადამიანის შექმნილია თუ არა. ზოგი ფიქრობს, რომ ის მრავალი ათასი წლის უკან უცნობმა ცივილიზაციამ შექმნა რომელიც გაურკვეველი მიზეზებით გადაშენდა ან გაქრა. მეცნიერთა მეორე ნაწილი ამ აზრს არ იზიარებს, თუმცა ვერც სხვა ვერსიას აყალიბებს.

დაუსრულებელი ობელისკი – ეს ამოუცნობი ნაგებობა ცოტა ხნის წინ აღმოაჩინეს არქეოლოგებმა ეგვიპტეში, ასუნსიონში. დაუსრულებელი 42-მეტრიანი ობელისკი მდინარე ნილოსის ნაპირზე მდებარეობს. ის რომ დაესრულებინათ, ყველაზე დიდი ობელისკი იქნებოდა ეგვიპტის ტერიტორიაზე.

საინტერესოა არტეფაქტები, მათ შორის ტექნოლოგიური არტეფაქტები, რომლებიც არანაირად არ ჯდება აკადემიურ წარმოდგენებში, ანუ წესით, არ უნდა არსებობდეს:

1901 წელს, კუნძულ ანტიკიბერასთან ჩაძირული რომაული გემის ნამსხვრევებში აღმოაჩინეს უცნაური მექანიზმი, რომელიც დაათარიღეს დაახლოებით 2000 წლით. გამოკვლევით დადგინდა, რომ ეს იყო რთული ასტრონომიული ხელსაწყო. მსგავსი სირთულის მექანიზმი იმ დროის კულტურაში, ერთი, რომ არ არის ცნობილი, მეორეა – შეუძლებელი იყო ცნობილი ყოფილიყო;

როდესაც კოლუმბამდელი ე.წ „ოქროს ჩიტები“ ავიაციის მცოდნეებმა ნახეს და ამ ფორმის საცდელი ვერსიები შექმნეს, მათ საოცარი აეროდინამიკა აჩვენეს ფრენისას. საინტერესოა, ნუთუ ამ სათამაშოებმა იმ უძველესი საფრენი აპარატების ფორმა შემოგვინახეს სათამაშოების ფორმით, რომელიც აკადემიური მეცნიერების მიხედვით, არ არსებობდა?

1938 წელს ბაღდადის მახლობლად აღმოაჩინეს 2000 წლის დახურული თიხის ჭურჭელი, რომელშიც სპილენძის ღერო გადის. ჭურჭელში მჟავურ სითხეს, მაგალითად ღვინოს ან ძმარს ასხამდნენ და ელექტროლიტის პრინციპით ელექტროენერგია გამოიყოფოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ 2-ათასწლეულის წინ ელექტროენერგიას მშვენივრად „იცნობდნენ“;

ვლადივოსტოკში ნაპოვნია გაურკვეველი მექანიზმის ალუმინის კბილანის ნაწილი, რომელიც ჩაქვავებულია ნახშირის ნატეხში. იგი დათარიღებულია 300 მლნ წლით. მისი შემცველობა 98% ალუმინი და 2% მაგნიუმია. ასეთი ფორმისა და შემცველობის ალუმინი წარმოუდგენელია წარმოიქმნას ბუნებრივად, ადამიანებმა კი არ იცოდნენ მსგავსის დამზადება 1825 წლამდე;

კოსტა-რიკის ქვის ბურთები

1998 წელს კვლევის საგანი გახდა მოსკოვთან ახლოს ჩამოვარდნილი მეტეორიტის ქვის ნატეხი რომელშიც ხრახნილია ჩაქვავებული და დათარიღებულია 300 მლნ წლით;

ჩინეთში იპოვეს ქვა, რომელიც ძალიან მტკიცეა და შავი ფერისაა. მასში გაურკვეველი კვანძის ფორმის არტეფაქტია ჩაქვავებული, რომელიც ან მეტეოროიდანაა მოხვედრილი დედამიწაზე, ან უძველესი ცივილიზაციის დანატოვარია და ა.შ უამრავი „არარსებული“ არტეფაქტია...

აგერ ახლახანს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, დიდნაურის ნაქალაქარში, კიდევ ერთ უნიკალურ აღმოჩენას მიაკვლიეს – სავარაუდოდ, ბრძოლაში დაღუპული მეომრის სამარხის გათხრისას არქეოლოგებმა მეომრის ჩონჩხის მუცლის არეში არაკავკასიური წარმომავლობის ისრის პირი იპოვეს. მეომრის ზურგთან აღმოაჩინეს ბრინჯაოს მახვილიც, რომელიც ძვ. წ. აღ-ის XIII საუკუნით თარიღდება. ასეთი საბრძოლო იარაღი სრულიად უცხოა ისტორიული და არქეოლოგიური საზოგადოებისთვის, რაც დიდნაურის უნიკალურობას კიდევ ერთხელ ადასტურებს. იარაღის წარმომავლობის შესწავლამ შესაძლოა სრულად შეცვალოს ამიერკავკასიის ისტორია.

დაუსრულებელი ობელისკი

ჩვენი ნუნისი

აღვნიშნეთ, რომ საბჭოთა „ენკავედესგან“ თითქოს განსხვავებული, მაგრამ ამოუცნობის ფანატიკური ინტერესი ჰქონდა ჰიტლერსაც, რომელიც ამგვარ საკითხების შესწავლას დაუფარავად აწარმოებდა მისი საყვარელი ორგანიზაცია „ანენერბე-ს“ მეშვეობით. არსებობს ეჭვი, რომ სამამულო ომის დროს კავკასიონის ქედზე ტაქტიკურად ყოვლად გაუმართლებელი სვლა, სპეციალურად გაწვრთნილი დესანტის გადმოსხმა (სვანებმა ამოხოცეს) პირადად ჰიტლერის მიერ საქართველოში მისტიკურის ძიებას უკავშირდებოდა...

2015 წლის შემოდგომაზე, იალბუზის მახლობლად, მკვლევარებმა ზვავის ქვეშ მოყოლილ „ვერმახტის“ რაზმს მიაგნეს, თუმცა მისი მისიის შესახებ ინფორმაცია არ მოიძებნა არც გერმანულ და არც საბჭოურ არქივებში. დაღუპულების პირად ნივთებში „ანენერბეს საზოგადოების“ სიმბოლოკიანი ბეჭედი და ჩემოდანი იპოვეს. ნალჩიკელმა სპელეოლოგმა არტურ ჟემუხოვმა სამარხის მახლობლად 78 მეტრის სიღრმის გამოქვაბული აღმოაჩინა. მისი ვარაუდით, გამოქვაბულის შახტა მიწისქვეშა ქალაქში მიდის, რომლის გვირაბები იალბუზამდე და სამხრეთ კავკასიამდე გრძელდება და მიწისქვეშა ქალაქი პირამიდების ქვეშ არის გაშენებული.

ცნობილ არმენოლოგთან ბატონ ალექსანდრე აბდალაძესთან გახლდით საქართველოს წარსულზე, კონკრეტულად 1917 წელზე სასაუბროდ. ჩვენი ისტორიაა, რომ როდესაც საქართველოს თურქეთის იმპერიამ შემოუტია, ოზურგეთს გადაუარა და ქუთაისისკენ მოდიოდა, მაგრამ გერმანიამ არ დაუშვა თურქეთის მიერ საქართველოს გადაყლაპვა და გამოგვექომაგა კი არა, გადაგვარჩინა. პოლიტიკურად როგორ აფასებენ გერმანიის ინტერესს,– ერთია, მაგრამ პირადად მე ეჭვი გამიჩნდა, სხვა რამეს ხომ არ გადაეფარა გერმანიის უმაღლესი ხელისუფლება საქართველოში, კონკრეტულად იმერეთში? – ყველა ეჭვს აქვს არსებობის უფლება, მითუმეტეს, თუ რაღაც საფუძველიც არსებობს.

მართლა ასე ფიქრობდა თუ არა ფაშისტური გერმანიის თავკაცობა, ვინ იცის, მაგრამ ცნობილი გავრცელებული აზრია, რომ ფაშისტებს, ანუ ჰიტლერს კავკასიის დაპყრობა უნდოდა, მაგრამ საქართველო არ უნდა დაებომბათ. გასაგებია, რომ ბაქოს ნავთის სუნი ბერლინს იქით აღწევდა, მაგრამ საქართველო?

ჰიტლერის მისტიკით გატაცება ცნობილია,– იგი ბუნების იდუმალ ძალებთან კავშირს ესწრაფოდა და არ იშურებდა არაფერს, ოღონდ მიეღწია ამ კავშირისთვის, მარადიული ახალგაზრდობის ელექსირისთვის და ა. შ მას გარს ეხვია მაგთა დასტა, რომლებიც მისტიკურ სფეროებზე მუშაობდნენ.

ბაქოს ნავთობისკენ გეზმიმართული ჰიტლერი გენერალური კომისრის რეზიდენციად, ისევე როგორც კავკასიის რაიჰსკომისრისა, (ოტო ოლენდორფი) თბილისს ასახელებდა, ბაქო მხოლოდ ნავთობის ვებერთელა რეზერვუარად მოიაზრებოდა, თბილისი, ანუ საქართველო? – ისევ პასუხგაუცემელი დარჩა საქართველოსადმი ინტერესი.

მზის კარიბჭე

(გაგრძელება იქნება)

სად გადის ზღვარი გმირობასა და ბოზობას შორის?

ირაკლი მამალაძე – მთავარი მოწმე თუ მთავარი პროვოკატორი?

— ბოზობას მაბრალებენ და საქართველოდან უნდა წავიდეო, — უთქვამს ჟურნალისტ ირაკლი მამალაძეს და უკრაინაში წასულა.

— ბოზობას თუ გაბრალებენ და თავის მართლებას ვერ ახერხებ, უკრაინაში წასვლა რას უშველის მაგ საქმეს, უკრაინაშიც ბოზი იქნები, ძმაო! — დაუწერა ვიღაცამ ფეისბუქში მამალაძეს.

რა ხდება, ბოზობას რომ ახსნებს, ახლა ქურდულ გაგებას აწვება ჟურნალისტი მამალაძე თუ რაშია საქმე?!

დღეს რომ რაღაც-რაღაცები უკვირს და ეხამუშება, თავისი მეგობრის, მოგვარისა და მოყვარის, მამა გიორგის საუბარს ჩუმ-ჩუმად რომ იწერდა ჟურნალისტი მამალაძე, იმ საქციელს რა ერქვა, ნეტავ?

— ქვეყანა გადავარჩინე, თავი გავწირე და ქვეყანა დიდი უბედურებისგან ვიხსენიო, — ამბობდა მაშინ ჟურნალისტი ირაკლი და პირდაპირ ვერ გვეუნებოდა, მაგრამ მიგვანიშნებდა, რომ გმირი იყო.

ამ გმირ კაცს ბოზი ხარო, ვინ უთხრა და ვინ აკადრა, თანაც ისეთი კატეგორიული და მკაცრი ტონით, რომ გმირი მამალაძე ქვეყნიდან გარბის.

— ბოზი კი არა, გმირი ვარ, შეჩემაო, — უნდა გეთქვა იმ ვიღაცისთვის და თავპირი უნდა დაგელეწა, მაგრამ რომ ვერ გააკეთე ეს, ჩემო გმირო ირაკლი?

იმიტომ ხომ არა, რომ ვინ-ვინ და შენ ხომ ძალიან კარგად იცი, რა გმირიც შენა ხარ და, საერთოდაც, ვინც ხარ და რა სულიერიც ხარ.

იქნებ იმის შეგეშინა, ყველა ცოდვა ერთად არ ამომიყარონ და მეც იქ არ მიკრან თავი, სადაც ჩემს ძმას და მეგობარს ვუკარი თავიო და ამიტომაც გაქუსლე უკრაინაში ნაცებთან?

მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, მამალაძე „დავერბოვკებული“ ჰყავდა ირაკლი კოდუას და წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა ნაცბანდას, რის შესახებაც ღიად და დაუფარავად ილაპარაკა ციხიდან გამოგზავნილ თავის წერილში პოლიციის ყოფილმა მაღალჩინოსანმა ირაკლი ფირცხალავამ.

ფირცხალავას მიერ გამომზეურებული ინფორმაციები გადამოწმდა, დადასტურდა და ამიტომაც აგიქნიეს ხელი და — წადი აქედან, გაგვასწარიო, — გითხრეს?

შენც გაასწარი, მაგრამ, რა ეშველება ახლა „ციანიდის საქმეს“, რომლის გამოძიებაც ჯერ მხოლოდ შუა გზაზეა და არავინ იცის, როგორ და რანაირად დამთავრდება.

ხომ შეიძლება ისე მოხდეს, რომ მთავარ მოწმედ შერაცხული მამალაძე მთავარი პროცოკატორი და ყალბისმქმნელი აღმოჩნდეს და ახლა უკვე მისი დაჭერის საკითხი დადგეს დღის წესრიგში?

რა ვქნათ მაშინ? ისევ უკრაინას ვეღრიჯოთ, გადმოგვცეს ჩვენი დანაშაულში ეჭვმიტანილი თანამემამულე?!

დარწმუნებული ვართ, დამფრთხალი მამალაძე უკრაინაში დიდხანს არ შეყოვნდება და საკაშვილივით ან ტაწზანიისკენ გაეშურება, ან გვინეისკენ გადაუხვევს და ვეძებოთ, მერე აფრიკის უდაბნოებში ეს გაფირალებული მამალაძე...

მუშნი ზარანდია

მადლობა!

ამ რამდენიმე დღის წინ გამთენიისას ჩემი შვილიშვილი ცუდად გახდა. გამოვიძახეთ სასწრაფო, რომელიც ზუსტად ხუთ წუთში მოვიდა და არსებული სიმპტომების მიხედვით მაშინვე დაისვა დიაგნოზი — საკვებით მოწამვლა. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა სასწრაფო დახმარების 1711 ბრიგადის წევრებს – მაკა მოსიაშვილს და ირმა ბედოშვილს – რომ არა მათი ოპერატიულობა და პროფესიონალიზმი, ვინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები.

სასწრაფომ პაციენტი ბავშვთა ინფექციურ კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

მისაღებშივე გამოჩნდა, რომ ბავშვი საიმედო ხელში იყო.

მონაცემების მიხედვით პირველ განყოფილებაში გადაგვიყვანეს (განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი გურამ კავილაძე).

თითქოს ბატონ გურამს საგანგებოდ ჰყავს შერჩეული განყოფილების მთელი შემადგებლობა, დაწყებული მედპერსონალით და დამთავრებული დაცვის თანამშრომლებით, რომლებიც ძალიან ყურადღებიანები არიან, პაციენტის პატრონებს ავადმყოფის მდგომარეობას დაუზარლად ატყობინებენ და მათ დამშვიდებასაც კი ცდილობენ...

მიუხედავად იმისა, რომ შენობა ძველია, იქაურობა კრიალებს — სანიტრები მუდმივად ალაგებენ დერეფნებს თუ პალატებს; ექთნები ზედმეტი ხმაურის გარეშე წარამარა შემოდიან პალატაში და პაციენტებს უყურადღებოდ არ ტოვებენ.

განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო ჩვენი მკურნალი ექიმის, არაჩვეულებრივი ქალბატონის რუსუდან ჭელიძის — კვალიფიციური ექიმისა და გულისხმიერი ადამიანის მიმართ, რომელიც პირველივე შეხედვისთანავე ნდობით განგაწყობს — მისი ნათელი ღიმილი და საოცარი ტემბრის ხმა გამშვიდებს და იმედს გისახავს.

სწორად დანიშნული მკურნალობის შედეგად ორიოდე საათში ბავშვის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. რამდენიმე დღეში კი სახლშიც გამოგვწერეს.

კიდევ ერთხელ მინდა უდიდესი მადლობა ვუთხრა ქალბატონ რუსუდანს და ყველა იმ ექიმს თუ მედიცინის მუშაკს, ვინც პატიოსნად ასრულებს თავის მოვალეობებს, ვუსურვო მათ ბედნიერება და წარმატებები და ის, რომ მათ პაციენტებს მათთვის ხშირად ეთქვათ ყველაზე ძვირფასი და ლამაზი სიტყვა: მადლობა!..

ბელა გველესიანი

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

– როგორ ხდება შრომითი ხელშეკრულების დადება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის?

– საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს შრომის კოდექსის”მე- 6 მუხლის მიხედვით, 1-ლი ნაწილის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული, განუსაზღვრელი ან სამუშაოს შესრულების ვადით.

მე-2 ნაწილი:. წერილობითი შრომითი ხელშეკრულება იდება მხარეთათვის გასაგებ ენაზე. წერილობითი შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს რამდენიმე ენაზე. თუ წერილობითი შრომითი ხელშეკრულება რამდენიმე ენაზეა დადებული, იგი უნდა შეიცავდეს დათქმას იმის თაობაზე, თუ რომელ ენაზე დადებულ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესობა ხელშეკრულებების დებულებებს შორის განსხვავების შემთხვევაში.

მე-3 ნაწილი: პირის განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი,

რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე, უთანაბრდება

შრომითი ხელშეკრულების დადებას.

მე-4 ნაწილი: დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს ცნობა

დასაქმების შესახებ, რომელიც მოიცავს მონაცემებს შესრულებული სამუშაოს, შრომის ანაზღაურების,

შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობის თაობაზე.

მე-5 ნაწილი: შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს, რომ შრომის შინაგანაწესი

ხელშეკრულების ნაწილია. ამ შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია პირს შრომითი

ხელშეკრულების დადებამდე გააცნოს შრომის შინაგანაწესი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო

შემდგომ – მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება.

მე-6 ნაწილი: თუ დასაქმებულთან დადებულია რამდენიმე შრომითი ხელშეკრულება, რომლებიც

მხოლოდ ავსებს და მთლიანად არ ცვლის ერთმანეთს, ყველა ხელშეკრულება ინარჩუნებს ძალას და

განიხილება, როგორც ერთი შრომითი ხელშეკრულება.

მე-7 ნაწილი: წინა შრომითი ხელშეკრულება ძალას ინარჩუნებს იმდენად, რამდენადაც მისი დებულებები შეცვლილი არ არის შემდგომი ხელშეკრულებით.

მე-8 ნაწილი: დასაქმებულთან ერთსა და იმავე პირობაზე დადებული რამდენიმე შრომითი

ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ბოლოს დადებულ

ხელშეკრულებას.

* * *

– რა არის ამნისტია და რა შეიძლება განხორციელდეს ამნისტიის აქტით? ასევე, მაინტერესებს შეწყალების საკითხი.

– თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 77–78 მუხლები, რომელთა შინაარსსაც წარმოგოდგენთ სრულად:

მუხლი 77. ამნისტია

1. ამნისტიას აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ.

2. ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის- სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

3. სასჯელმოხდილს ამნისტიის აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.

მუხლი 78. შეწყალება

1. შეწყალებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი ინდივიდუალურად განსაზღვრული პირის მიმართ.

2. შეწყალების აქტით მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

3. სასჯელმოხდილს შეწყალების აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.

* * *

– არის თუ არა ვალდებული მემკვიდრე, გაისტუმროს მამკვიდრებლის ვალები?

– დიახ, ვალდებულია.

დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1484– მუხლის 1– ლი ნაწილის მიხედვით, მემკვიდრეები ვალდებულნი არიან, მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად.

ამავე კოდექსის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ მამკვიდრებელი მემკვიდრეებზე გადასული ვალებით სოლიდარულად მოვალე იყო, მაშინ მემკვიდრეები სოლიდარულად აგებენ პასუხს.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მამკვიდრებლის ვალებისათვის პასუხისმგებელნი არიან სავალდებულო წილის მიმღები მემკვიდრეებიც.

ქვეყნები, რომლებსაც კონსტიტუცია არ აქვთ

კონსტიტუცია ქვეყნის ძირითადი კანონია, სამართლებრივი ნორმატიული აქტი, რომელსაც უზენაესი იურიდიული ძალა გააჩნია. კონსტიტუცია განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური სისტემების საფუძვლებს.

კონსტიტუცია ქვეყნის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია, რომელშიც ასახულია ქვეყნის შექმნის ძირითადი მიზნები.

...მაგრამ არსებობს ქვეყნები, რომლებსაც კონსტიტუცია არ გააჩნიათ...

ვატიკანი

2000 წლის ნოემბერში პაპმა გაასაჯაროვა ვატიკანის ახალი ძირითადი კანონი, რომელმაც, ფაქტობრივად, ძალაუფლების გადანაწილების სისტემა დააკანონა.

დოკუმენტიდან, რომელიც 20 სტატისგან შედგება, ნათელი ხდება, რომ პაპს უმაღლესი იურიდიუ-

ლი ძალაუფლება გააჩნია: ვატიკანში არსებული ყველა უფლებრივი ნორმა, რომელიც ამ დოკუმენტს ეწინააღმდეგება, ბათილდება. ამასთან, პაპს ნებისმიერ დროს შეუძლია ცვლილებები შეიტანოს ძველ კანონში, ან, თუ საჭიროდ ჩათვლის, ახალი კანონი მიიღოს.

დიდი ბრიტანეთი

დიდ ბრიტანეთში არ არსებობს რაიმე ერთიანი დოკუმენტი, რომელიც შეიძლება ქვეყნის ძირითად კანონად ჩაითვალოს; არ არსებობს დოკუმენტების ზუსტი ჩამონათვალიც კი, რომლებიც ამ ფუნქციას ასრულებს.

ასე რომ, გაერთიანებული სამეფოს კონსტიტუციას სრულიად აბსტრაქტული ხასიათი აქვს და წარმოადგენს კანონების, პრეცედენტებისა და დიდი ბრიტანეთის კონსტიტუციური წესების ნაკრებს, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფო ორგანოების ფორმირების წესსა და უფლებებს, ქვეყნის სახელისუფლო ორგანოებს შორის ურთიერთობების, სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობების პრინციპებს.

ახალი ზელანდია

იქიდან გამომდინარე, რომ ახალი ზელანდია ძალიან დიდი ხნის განმავლობაში დიდი ბრიტანეთის კოლონია გახლდათ, მან გაერთიანებული სამეფოსგან გადაიღო კონსტიტუციური მოწყობა და კანონების ნაწილი. ამდენად, ერთიანი დოკუმენტი, რომელიც ქვეყნის კონსტიტუცია შეიძლებოდა ყოფილიყო, ამ ქვეყანას არ გააჩნია.

კანადა

არც კანადაში არსებობს ერთიანი დოკუმენტი, რომელიც კონსტიტუციის მოვალეობას შეასრულებდა. კონსტიტუციად მიიჩნევა გაერთიანებული საკონსტიტუციო აქტები და სხვა როკუმენტები, რომლებიც წერილობითი სახით ან ზეპირი ტრადიციებითა და ხელშეკრულებებით არის წარმოდგენილი.

გარდა ამისა, კანადის უფლებებისა და თავისუფლებების ქარტიის „სპრციალური სტატია“ ფედერალურ პარლამენტსა და პროვინციულ საკანონმდებლო საკრებულოებს/სათათბიროებს,

საშუალებას აძლევს, ქარტიაში უკვე არსებულის ხარჯზე მიიღონ ისეთი კანონები, როგორიც კანონმდებლებს აწყობთ (ფუნდამენტურ თავისუფლებებში, იურიდიულ გარანტიებსა და თანასწორობის უფლებებში — ხუთ წელიწადში ერთხელ).

ისრაელი

ისრაელსაც არ გააჩნია კონსტიტუცია, ამ სიტყვის მიღებული მნიშვნელობით. კონსტიტუციის როლს ასრულებს „ძირითადი კანონების“ კრებული, რომლის საშუალებითაც რეგულირდება როგორც ქვეყნის დემოკრატიული ხასიათი, ისე საპარლამენტო ხელისუფლება.

1950 წელს ისრაელის პარლამენტმა დაიწყო კანონების მიღება, რომლებსაც კონსტიტუციის ძალა ექნებოდა.

ამჟამად მოქმედი „ძირითადი კანონებიდან“ პირველი, რომელიც (კნესეტს) პარლამენტს ეხებოდა, 1950 წელს მიიღეს. ამის შემდეგ მიღებულ იქნა კიდევ 10 ძირითადი კანონი.

სან-მარინო

ერთიანი დოკუმენტი, რომელიც ძირითადი კანონების კრებული იქნებოდა, სან-მარინოში არ არსებობს. კონსტიტუცია ორი საკანონმდებლო აქტისგან შედგება — სან-მარინოს რესპუბლიკის საკანონმდებლო სტატუტისა და მოქალაქეების უფლებების დეკლარაციისა და სან-მარინოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ძირითადი პრინციპებისგან. სან-მარინოს საკანონმდებლო სტატუტი დამოუკიდებელი ქვეყნების მიერ გამოქვეყნებულ კანონთა უძველეს კრებულად ითვლება. ის ლათინურ ენაზეა დაწერილი და ექვსი წიგნისგან შედგება. პირველ წიგნში 62 სტატია შედის, რითიც საბჭოების, სასამართლოებისა და აღმასრულებელი ორგანოების მოღვაწეობა რეგულირდება. დანარჩენ ხუთ წიგნში შედის კრიმინალური და სამოქალაქო სამართალი, იურიდიულ პროცედურათა და სასამართლო ზომების აღწერა.

1600 წელს დაწერილი ეს დოკუმენტი 1300 წელს მიღებული საქალაქო კანონის საფუძველზე დაიწერა, რომელიც, თავის მხრივ, იუსტინიანეს კოდექსის გავლენით შეიქმნა.

საუდის არაბეთი

საუდის არაბეთის ძირითადი კანონი ყურანია.

„საუდის არაბეთის სამეფო — სუვერენული არაბული სახელმწიფო, რელიგია — ისლამი, კონსტიტუცია — ყურანი, სახელმწიფო ენა — არაბული, დედაქალაქი — ელ-რიადი“..

მსოფლიოში ყველაზე ძველი კონსტიტუცია

მსოფლიოში ყველაზე ძველი კონსტიტუცია — ეს, დღევანდელი

გაგებით იურიდიული დოკუმენტი 230 წლის წინათ, 1787 წლის 17 სექტემბერს ფილადელფიაში მიიღეს საკონსტიტუციო კონვენტის დელეგატებმა. მას ხელი მოაწერეს ჯორჯ ვაშინგტონმა და ბენჯამინ ფრანკლინმა.

კონსტიტუციის რატიფიცირება 1789 წლის 4 მარტს მოხდა. კონსტიტუციის თანახმად, სწორედ ამ დღეს დაიწყეს მუშაობა ფედერალურმა სახელისუფლებო ორგანოებმა. არსებობის მანძილზე დოკუმენტში მხოლოდ 27 შესწორებაა შეტანილი.

კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. ცვლილების შეტანის შესახებ წინადადება ჯერ კონგრესში ხვდება, რის შემდეგაც მისი რატიფიცირება შტატების სამმა მეოთხედმა უნდა მოახდინოს. 1789 წელს შეთავაზებული შესწორება, რომელიც სენატორებისა და წარმომადგენლების ხელფასებში ცვლილებას ითვალისწინებდა, მხოლოდ 203 წლის შემდეგ, 1992 წელს მიიღეს.

აშშ-ის კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ ხალხს აჯანყების უფლება აქვს.

1791 წლის უფლებათა ბილის შესაბამისად, ამერიკის მოქალაქეებს გარანტირებული ჰქონდათ სიტყვის თავისუფლება, აღმსარებლობის თავისუფლება, პრესის თავისუფლება, იარაღის ტარებისა და შენახვის უფლება, მშვიდობიანი შეკრების უფლება, დაუსაბუთებელი ჩხრეკისა და დაპატიმრებისგან დაცვა, მიუკერძოებელი მსაჯულების მონაწილეობით საჯარო და დაუყოვნებელი სასამართლოს უფლება.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

სახალხო მკურნალი
(მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983
9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com